გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 38

2025 წლის 14 მარტი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471031) 2024 წლის საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471031) 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471031) 2024 წლის საქმიანობის ანგარიში. (დანართი 47 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის

ს ა ა გ ე ნ ტ ო

2024 წლის 08 იანვრიდან 31 დეკემბერის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

ანგარიში წარმოდგენილია ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს სამოქმედო გეგმის შესაბამისად და ასახავს წლის განმავლობაში განყოფილებების შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას.

მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და მწერალთა სახლის განყოფილება

სააგენტოს განყოფილების სტრუქტურული ერთეულების რიცხოვნობა შეადგენს 7 ერთეულს.

- გორის მუნიციპალიტეტის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- გორის მუნიციპალიტეტის საბრძოლო დიდების მუზეუმი;
- ნიკო ლომოურის სახელობის მემორიალური მუზეუმი სოფ. არბოში;
- ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის მემორიალური მუზეუმი სოფელ ძევერაში;
- ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკა;
- ახალგაზრდული ბიბლიოთეკა;
- მწერალთა სახლი;

გორის სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

განყოფილების მიერ შემუშავებული 2024 წლის სამოქმედო გეგმა, მოიცავს სტრუქტურული ერთეულების მიერ დაგეგმილ განსახორციელებელ ღონისძიებათა და საქმიანობის გეგმას.

ანგარიში შედგება თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებისაგან.

წელიწადში ორჯერ სტუქტურული ერთეულები წარმოადგენენ ანგარიშს/ინფორმაციას გაწეული საქმიანობის შესახებ.

- თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ წლიური გეგმების შედგენაში, ამზადებენ განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიშებს.

საანგარიშო პერიოდში მუზეუმში სამუშაო გეგმით და გეგმის გარეთ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ძირითადი ფონდი: იამზე ხომასურიძე

მუზეუმის ძირითადი ფონდი შეივსო 25 ერთეული სამუზეუმო მნიშვნელობის ახალი ექსპონატით და 12 ერთეული სამეცნიერო დამხმარე მასალით. რომელზეც შედგა შესაბამისი დოკუმენტაცია და გატარდა ძირითად შემოსულობათა და სამეცნიერო დამხმარე მასალათა საინვენტარო წიგნში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მასალიდან თანხა გადახდილია მხოლოდ 1 ნივთში, დანარჩენი შემოწირულია.

- განხორციელდა ფონდში დაცული ძველი კინოფირების ნაწილობრივი ინვენტარიზაცია, სულ 89 ერთეული;
- ასევე ფონდიდან სარესტავრაციოდ შეირჩა მოქანდაკე ალ. თარხნიშვილის პლასტელინის დაზიანებული ფიგურები;
- 20 მარტს, მეთოჯინის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის ფონდიდან შეირჩა 14 ერთეული ეთნოგრაფიული თოჯინა. ასევე, თანამშრომელთ კურატორისა და მიერ დამზადდა 5 ერთეული ახალი თოჯინა;
- ალბომისათვის „ მხატვრის თვალით დანახული ძველი გორი“ მოხდა ამ თემატიკის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გადამოწმება-გაკონტროლება;
- ძირითადი ფონდის ტექსტილის კოლექციაში დაცული ბოშურში მოქსოვილი ხალიჩა ფარდაგებით(3 ერთეული) ისარგებლეს თეძამისა და ტანას დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებმა- მოახდინეს ფოტოფიქსაცია შემდგომ ციფრული ინსტალაციებისათვის;
- განხორციელდა ხევსურული სამოსის გაქარვა-ნაფტალინიზაცია;
- ფონდის კურატორი მუშაობს წლიურ თემაზე: „მოჭიქული ჭურჭლის წარმოება XIXს-ის შიდა ქართლში“
- დასრულდა ფერწერული ტილოების დარგობრივი წიგნი და პ. ბასიშვილის მიერ მომზადდა მისი ელვერსია;
- ალბომისათვის „ მხატვრის თვალით დანახული ძველი გორი“ მოხდა ამ თემატიკის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გადამოწმება-გაკონტროლება;
- ფონდის კურატორმა დაასრულა მუშაობა წლიურ თემაზე: „მოჭიქული ჭურჭლის წარმოება XIXს-ის შიდა ქართლში“; იგეგმებოდა მისი წაკითხვა ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების კონფერენციაზე, რომელიც გადაიდო ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო;

ხელნაწერი და პირველნაბეჭდი წიგნებისა და საარქივო მასალის ფონდი:
ეკატერინე ილარიშვილი:

- ფონდის კურატორი ლექცია-საუბრებით მოემსახურა ექსპოზიციაზე შემოსულ 20 ჯგუფს(445 დამთვალიერებელი);
- ფონდის კურატორმა კონსულტაცია გაუწია 10 დაინტერესებულ პირს:

1. ა. ექრომაიშვილის სახ. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მ/შ ნანა ვალიშვილმა იმუშავა ვახტანგ წერეთლის საარქივო მასალაზე.
2. ისტორიკოს გუბაზ მეგრელიძისთვის მოძიებული და დასკანერებული იქნა გორიჯვრის ძველი ფოტოები.
3. აზერბაიჯანელ სტუმარ გუსეუნ-ალი-ზადე რენა ისმაილოვისთვის დაძებნილი იქნა მასალები ამიერკავკასიის საოსტატო სემინარიის შესახებ, სადაც მისი წინაპარი სწავლობდა.

4. გორელ ლოტბარ ზურა წკრიალაშვილისთვის ფონდიდან შერჩეული იქნა ძველი ხალხური (და არა მხოლოდ) სიმღერების მომღერალთა შესახებ საარქივო მასალა და ფოტოები. მოხდა მათი სკანირება და გადაცემა მკვლევარისთვის.
5. გორელი მოქალაქე ავთანდილ ხუროშვილისთვის დაიძებნა მასალები საკუთარი გვარის ისტორიის შესახებ სარგის კაკაბაძის არქივიდან.
6. გარსევანიშვილების საგვარეულო არქივიდან შეირჩა მასალა გამოფენისათვის „ორიგინალური ისტორიული საბუთები ოქონის ტაძრის შესახებ“. გამოფენა გაიხსნა 10 მაისს.
7. მუზეუმის მოსწავლეთა კონფერენციისთვის თემების მოსამზადებლად, კონსულტაცია-მომსახურება გაეწიათ გორის II საჯარო სკოლის მოსწავლეებს (ე. კვინიკაძე, ლ. ბედუკაძე. პედ: თ სიდამონიძე). ისარგებლეს თუმანიშვილების არქივით.
8. 18 მაისისადმი მიძღვნილი გამოფენისთვის ფონდიდან შეირჩა დ. ერმაკოვის ფოტოები და ალბომები.
9. უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში განხორციელებული ერთობლივი ფოტოგამოფენისათვის ფონდიდან შეირჩა და დასკანერდა 19 ერთეული უფლისციხის ძველი ფოტო. გამოფენა გაიხსნა 18 მაისს.
10. ფონდიდან შეირჩა სარესტავრაციო მასალა(50 ერთეული), რომლის თაობაზეც დავუკავშირდით საქართველოს სახელმწიფო არქივის და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ლაბორატორიებს. გადატვირთული გრაფიკის გამო ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა საქმის დაწყება-ველოდებით ჩვენს რიგს.

- ❖ კურატორი მუშაობს გარსევანიშვილების საარქივო მასალებზე. ამზადებს წლიურ სამეცნიერო თემას.
- ❖ ფონდის კურატორი ლექცია-საუბრებით მოემსახურა ექსპოზიციაზე შემოსულ 13 ჯგუფს(185 დამთვალიერებელი);
- ❖ ფონდის კურატორმა კონსულტაცია გაუწია შემდეგ დაინტერესებულ პირებს:

1 მოვემსახურე ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მთავარ რედაქტორს ბაია ასიეშვილს, მთავარ სპეციალისტს ნანა კალანდაძეს , სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტს გურამ გაბაშვილს, ხელნაწერების ფონდში დაცულ მასალაზე მონოგრაფიისთვის ,,კავსაძეები ‘’.

2 ფონდიდან შეირჩა სარესტავრაციო მასალა(50 ერთეული), რომლის თაობაზეც დავუკავშირდით საქართველოს სახელმწიფო არქივის და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ლაბორატორიებს. გადატვირთული გრაფიკის გამო ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა საქმის დაწყება-ველოდებით ჩვენს რიგს.

3 ფონდში დაცული რუკებით ისარგებლა თსუ-ს გეოდეზია-კარტოგრაფიის კათედრის გამგე დალი ნიკოლაიშვილმა. მოხდა რუკების ფოტოფიქსაცია და ელექტრონული რესურსის გადაგზავნა (თ.ქორელი);

- ❖ კურატორი მუშაობს გარსევანიშვილების საარქივო მასალებზე. ამზადებს წლიურ სამეცნიერო თემას.

ძვირფასეულის ფონდი კურატორი: თინათინ სოსანიძე

- კურატორმა რეექსპოზიცია ჩაატარა ღირსეულ გორელთა ფოტო გამოფენის დარბაზში (ფოტოების განთავსება ანბანური წყობით,ახალი ფოტოებით (25 ფოტო), მოკლე ანოტაციების შედგენა-დაზუსტება ნ. გოდერძიშვილთან ერთად). დარბაზი აუცილებლად საჭროებს კოსმეტიკურ რემონტს;
- ზ/აღნიშნულ ექსპოზიციაზე წარმოდგენილ მოღვაწეთა ბიოგრაფიების შევსების მიზნით მოსდა მასალების მოძიება სხვადასხვა წყაროებში;
- დასრულდა მუშაობა ალბომზე „მხატვრის თვალით დანახული ძველი გორი“(წინასიტყვაობა,მხატვრული ნამუშევრების შერჩევა, დიზაინი, მცირე შემოქმედებითი ბიოგრაფიები, ინგლისურენოვანი თარგმანი, სარჩევი...).სულ42 მხატვრის 94 ნამუშევარი;
- ალბომზე მუშაობის პერიოდში სხვადასხვა მუზეუმებში(ზუგდიდის დადიანების სასახლე, საქართველოს ხელოვნების სასახლე) დაზუსტდა მანამდე გაურკვეველი ზოგიერთი მხატვრული ნამუშევრის ავტორი;
- მიმდინარეობს გამოცემის დაკაბადონება ო. გვრიტიშვილთან ერთად;
- ფონდის კურატორის რედაქტორობით გამოიცა მუზეუმის ყოფილი თანამშრომლის, კლარა(დოდო) კოშუაშვილის დოკუმენტური პროზა „ასეთი მახსოვს ტყვიავი“ . მოახდინა მისი წარდგენა საზოგადოებისათვის დედის დღეს, 3 მარტს;
- ძირითადი ფონდის გამდიდრების მიზნით კურატორი პერიოდულად ახდენს მოსახლეობაში სამუზეუმო მასალების მოძიება-შეკრებას და ჩანაწერების წარმოებას(ქ. ღოღობერიძე,ა. ვარძელაშვილი,ნ. ჯავახიშვილი,ვ. კვალიაშვილი...);
- კონსულტაციებით მოემსახურა 8 დაინტერესებულ პირს და სტუდენტთა ჯგუფებს;
- მუშაობს სამუზეუმი სესიაზე წარსადგენ თემებზე;
- გასულ წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის დროს(ძვირფასეული) 2282 ექსპონატიდან სამკურნალოდ შერჩეულ 9 ექსპონატს ჯერ-ჯერობით კონსერვაცია -რესტავრაცია არ ჩასტარებია. საჭიროა მივმართოთ ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიას;
- დასრულდა ჩატარებული ინვენტარიზაციის სათანადო აქტის გაფორმება;
- ფონდის კურატორმა, რომელიც ასევე კულტურის პროფკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელია დაგეგმა და განახორციელა სასწავლო-საგანმანათლებლო ექსკურსია მარშრუტით: გორი-დიდი ჯიხაიში(ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი)-ზუგდიდი,დადიანების სასახლეები)-გორი;
- დასრულდა მუშაობა ალბომზე „მხატვრის თვალით დანახული ძველი გორი“;
- ალბომზე მუშაობის პერიოდში სხვადასხვა მუზეუმებში(ზუგდიდის დადიანების სასახლე, საქართველოს ხელოვნების სასახლე) დაზუსტდა მანამდე გაურკვეველი ზოგიერთი მხატვრული ნამუშევრის ავტორი;
- ალბომი გამოიცა ოქტომბრის თვეში გორელ ფოტოგრაფთა კლუბის(ხელმძღვანელი ოთო გვრიტიშვილი) და მერიის კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის ხელშეწყობით;
- 7 ნოემბერს შედგა ზ/აღნიშნული ალბომის პრეზენტაცია
- 15 ნოემბერს შედგა თ. სოსანიძის მიერ გამოცემული წიგნის „მუზეუმის სიყვარულით“ პრეზენტაცია. ავტ: მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი, აწ გარდაცვლილი ვაჟა შაქარაშვილი;
- ძირითადი ფონდის გამდიდრების მიზნით კურატორი პერიოდულად ახდენს მოსახლეობაში სამუზეუმო მასალების მოძიება-შეკრებას და ჩანაწერების წარმოებას;

- ❖ კონსულტაციებით მოემსახურა 8 დაინტერესებულ პირს და სტუდენტთა ჯგუფებს;
- ❖ მუშაობს სამუზეუმი სესიაზე წარსადგენ თემებზე;
- ❖ გასულ წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის დროს(ძვირფასეული) 2282 ექსპონატიდან სამკურნალოდ შერჩეულ 9 ექსპონატს ჯერ-ჯერობით კონსერვაცია - რესტავრაცია არ ჩასტარებია. საჭიროა მივმართოთ ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიას;
- ❖ 11 სექტემბერს თბილისში გამართულ საქართველოს მუზეუმელთა ალიანსის ფორუმზე თინათინ სოსანიძე დაჯილდოვდა საპატიო მუზეუმელის წოდებით: გადაეცა სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო;

არქეოლოგიის ფონდი: ზ. შერაზადიშვილი

- ❖ სათანადო საცავის გაუმართავობის გამო წლების განმავლობაში არქეოლოგიური არტეფაქტები განთავსებული იყო ეზოში არსებული საპირფარეშოს დაუქმებულ ნაწილში. მოხდა მისი დაცლა. მასალა შეტანილი იქნა არქეოლოგიის ფონდსაცავში;
- ❖ ზ/აღნიშნული არტეფაქტების სათანადოდ განსათავსებლად სააგენტომ საჩუქრად გადმოგვცა 50 ერთეული პლასტმასის ჭვირული ყუთი. მიმდინარეობს მათში მასალის განთავსება;
- ❖ გრძელდება უნომრო არქეოლოგიური მასალის ძირითად და დარგობრივ შემოსულობათა წიგნებთან შედარება-შეჯერება მათი სამუზეუმო ნომრების აღდგენის მიზნით.
- ❖ მიმდინარეობს გუდაბერტყას ნამოსახლარზე 1954-1991 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოების ფოტო და გრაფიკული დოკუმენტაციის გაციფრულება.
- ❖ კონსერვაცია-რესტავრაციის მიზნით შერჩეული იქნა არქეოლოგიის ფონდში დაცული ბრინჯაოს და რკინის სხვადასხვა საბრძოლო იარაღი და სამკაული, ასევე თიხის ჭურჭელი.
- ❖ ტემპერატურის და ტენის საზომი აპარატურის საშუალებით სისტემატურად კონტროლდება ტენიანობის და ტემპერატურის სტაბილურობა არქეოლოგიის საცავებსა და საექსპოზიციო დარბაზებში.
- ❖ მიმდინარეობს არქეოლოგიურ ფონდში ბამბუკის თაროების დამზადება
- ❖ სისტემატურად მიმდინარეობს უნომრო არქეოლოგიური მასალის ძირითად და დარგობრივ შემოსულობათა წიგნებთან შედარება-შეჯერება მათი სამუზეუმო ნომრების აღდგენის მიზნით.
- ❖ მიმდინარეობს გუდაბერტყას ნამოსახლარზე 1954-1991 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოების ფოტო და გრაფიკული დოკუმენტაციის გაციფრულება.
- ❖ კურატორმა სკოლის მოსწავლეთათვის ჩაატარა 5 საგანმანათლებლო შემეცნებითი ლექცია თემაზე „საუბრები არქეოლოგიაზე“; გორის II საჯარო სკოლა -3 ლექცია, VIII საჯარო სკოლა-1 ლექცია, ჯარიაშენის საჯარო სკოლა-1 ლექცია;
- ❖ კონსერვაცია-რესტავრაციის მიზნით შერჩეულია არქეოლოგიის ფონდში დაცული ბრინჯაოს და რკინის სხვადასხვა საბრძოლო იარაღი და სამკაული, ასევე თიხის ჭურჭელი.

- არქეოლოგიის ძირითად ფონდში მუყაოს ყუთები გამოიცვალა სააგენტოს მიერ შეძენილი პლასტმასის ყუთებით. დახარსიხდა ხელთუბნის, თედოწმინდის, კუსირეთის, გუდაბერტყას 2008 (2 ექსპედიცია) და 2017 წლებში აღმოჩენილი მასალა.
- არქეოლოგიურ ფონდში მიმდინარეობს თაროების განახლება.
- მიმდინარეობს არქეოლოგიურ ფონდში ბამბუკის თაროების დამზადება

საექსპოზიციო -საგამოფენო მიმართულება:

- **საანგარიშო პერიოდში მუზეუმის მუდმივმოქმედი და დროებითი გამოფენები დაათვალიერა - 2989 კაცმა, მათ შორის: ადგილობრივი-2600, უცხოელი-389**

გამოფენები:

საანგარიშო პერიოდში მუდმივმოქმედი ექსპოზიციის პარალელურად, მუზეუმის თანამშრომელთა მიერ მომზადდა დროებითი გამოფენები:

1. 20 მარტი- მეთოჯინის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა „გორელი მეთოჯინენი“;
2. 10 მაისი-„ ორიგინალური ისტორიული საბუთები ოქონის ტაძრის შესახებ;
3. 18 მაისი- მუზეუმების საერთაშორისო დღე- „დიმიტრი ერმაკოვის ფოტოალბომიდან- ტიპაჟი“
4. ერთობლივი ფოტოგამოფენა უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში;
5. 26 მაისი-„ XX ს-ის დასაწყისის პერიოდული პრესა“
6. 2023 წ. 3 დეკემბრიდან - 2024წ. 15 მარტამდე გრძელდებოდა დროებითი გამოფენის „სერგი მაკალათიას საექსპედიციო მონაპოვარი“;
7. გორის დღე- „ძველი გორი ფოტო ობიექტივში“. ჭავჭავაძის ქუჩაზე გამოიფინა მუზეუმის ფონდში დაცული ფოტოების ასლები, სულ-35 ერთეული;
8. 8 ნოემბერი-ალბომის „მხატვრის თვალით დანახული ძველი გორი“ პრეზენტაციის პარალელურად მოეწყო ალბომში შესული ნამუშევრების ნაწილის გამოფენა;
9. 21 სექტემბერს გაიხსნა დროებითი გამოფენა „Mi Zi Inana“ -თანამედროვე ინსტალაციები არქეოლოგიის დარბაზში გამოფენილი მტკვარ-არაქსული საბეჭდავებისა და თიხის ჭურჭლის თემაზე. ავტორი მაკა კილაძე- მულტიმედია არტისტი და კირკე ექსპერიმენტული ცეკვისა და თეატრის პლატფორმის დამფუძნებლი; გამოფენა მუშაობდა 1 თვის განმავლობაში;
10. 26 სექტემბერი- მეცნიერების ფესტივალში სახალისო, საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობებით.
11. 1 ნოემბერი- ცხინვალის დროებითი ადმინისტრაციის მოძრავი ერთდროული გამოფენა-„ ივანე მაჩაბელი-გზა ევროპისაკენ“;

- **ჩატარდა 200 ზე მეტი ლექცია-საუბარი. აქედან:**

1. **თამარ ქორელი** ინგლისურ და ქართულ ენაზე ლექცია-საუბრით მოემსახურა 336 დამთვალიერებელს. მათ შორის 116 უცხოელი. ის ასევე ჩართული გახლდათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამოფენის მოწყობაში.
2. **ნათია ბერუაშვილი** ქართულენოვანი ლექცია საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 30 ჯგუფს (452 კაცი). ასევე ჩართული გახლდათ ყველა სამუზეუმო აქტივობის თუ გამოფენის მოწყობაში. მუშობს წლიურ სამეცნიერო თემაზე.

- **ეკატერინე ილარიშვილი** ქართულენოვანი ლექცია-საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 20 ჯგუფს(445 დამთვალიერებელი);

3. **ლიანა ბოჭორაძე** ქართულ და ინგლისურ ენაზე ჩაატარა 28 ლექცია-საუბარი;
4. **პაატა ბასიშვილი** ქართულ და რუსულ ენაზე ლექცია-საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 20 ჯგუფს. ოფიციალურ ფბ გვერდზე პერიოდულად აქვეყნებს ღონისძიებების ამსახველ ფოტოებს და მუზეუმის ფონდებში დაცულ მასალას შესაბამისი ანოტაციებით.
5. **ნატალია ბელენკო** რუსულ ენაზე ლექცია-საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 14 ჯგუფს(46 ტურისტი) აქტიურად არის ჩართული ყველა სამუზეუმი საქმიანობაში. კურირებს სამეურნეო და გასახარჯ მასალათა საწყობს.
6. **თამილა კოშორიძე** -8 ლექცია;
7. **ზვიად შერაზადიშვილი** -8 ლექცია;
8. **26-28 ივნისი-გორის უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პრაქტიკა. ჩატარდა 4 სპეცლექცია.**
9. **23 ივლისი- სპეცლექცია გორის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის მსმენელთათვის;**
10. **ყველა** ზემოთ ჩამოთვლილი ექსკურსიებისა და ლექცია საუბრების დროს საგამოფენო დარბაზებში შესაბამის გარემოს და წესრიგს უზრუნველყოფს **დარბაზების მეთვალყურე ნანა სადუნაშვილი.** ის ასევე ჩართულია ყველა გამოფენის მოწყობასა და ღონისძიების ორგანიზებაში;

11. **თამარ ქორელი** ინგლისურ და ქართულ ენაზე ლექცია-საუბრით მოემსახურა 10 ჯგუფს. ის ასევე ჩართული გახლდათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამოფენის მოწყობაში.

12. სისტემატიურად უწევს კომპიუტერულ დახმარებას მუზეუმის თანამშრომლებს.

- ნათია ბერუაშვილი ლექცია-საუბრით მოემსახურა მუზეუმის დამთვალიერებელ 18 ჯგუფს.
- კონსულტაცია გაუწია(პროექტი)- ბერბუკის საჯარო სკოლის მე- 10 კლასის მოსწავლეებს.
- მუზუმის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მივიღე მეცნიერებათა ფესტივალზე ნუმიზმატიკური პროექტის და პრაქტიკული სამუშაოების განხოციელებაში.
- მუშაობს სამეცნიერო თემაზე და აქტიურად აგროვებს საჭირო მასალას.
- თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდით მუზეუმში განხორციელებულ ღონისძიებებში.

- **ეკატერინე ილარიშვილი** ქართულენოვანი ლექცია-საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 13 ჯგუფს;

13. **ლიანა ბოჭორაძე** ქართულ და ინგლისურ ენაზე ჩაატარა 23 ლექცია-საუბარი;
14. **პაატა ბასიშვილი** ქართულ და რუსულ ენაზე ლექცია-საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 10 ჯგუფს. ოფიციალურ ფბ გვერდზე პერიოდულად აქვეყნებს ღონისძიებების ამსახველ ფოტოებს და მუზეუმის ფონდებში დაცულ მასალას შესაბამისი ანოტაციებით.
15. **ნატალია ბელენკო** რუსულ ენაზე ლექცია-საუბრით მოემსახურა დამთვალიერებელთა 10 ჯგუფს. აქტიურად არის ჩართული ყველა სამუზეუმი საქმიანობაში. კურირებს სამეურნეო და გასახარჯ მასალათა საწყობს.
16. **თამილა კოშორიძე** -9 ლექცია;
17. **ზვიად შერაზადიშვილი** -10 ლექცია;
18. **ყველა** ზემოთ ჩამოთვლილი ექსკურსიებისა და ლექცია საუბრების დროს საგამოფენო დარბაზებში შესაბამის გარემოს და წესრიგს უზრუნველყოფს **დარბაზების მეთვალყურე ნანა სადუნაშვილი.** ის ასევე ჩართულია ყველა გამოფენის მოწყობასა და ღონისძიების ორგანიზებაში;

- **სამწუხაროდ, მუზეუმის ძალებს აღემატება ჯეროვანი პიარკომპანიის წარმოება მუზეუმის ცნობადობის გაზრდის მიზნით! მუზეუმის მეტი პოპულარიზაციის მიზნით სასიცოცხლოდ აუცილებელია ინფოტურის მოწყობა მსხვილი ტუროპერატორებისა და მედიისათვის! ასევე, სხვადასხვა ტიპის სარეკლამო მასალის მომზადება.**

სამუზეუმო საბჭო:

- საბჭო შეიკრიბა 6-ჯერ, რომლებზეც განხილული იყო მიმდინარე საკითხები.

ღონისძიებები:

- 14 იანვარი- ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მიერ მომზადდა სიუჟეტი „საახალწლო ტრადიციები შიდა ქართლში“;
- 23 თებერვალი-პროფესორ მამუკა ჯოლბორდის საჯარო ლექცია თემაზე: „1832 წ. შეთქმულება“;
- 3 მარტი- კლარა კოშუაშვილის წიგნის „ასეთი მახსოვს ტყვიავი“ პრეზენტაცია;
- 7 მარტი- დისკუსია-საუბარი გორის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ბენეფიციარებთან თემაზე „საზოგადო მოღვაწე ქალები გორიდან;
- 29 მარტი-პროფესორ ბადრი რაზმაძის საჯარო ლექცია თემაზე „შევინარჩუნოთ ჯანსაღი ქართული ტრადიციები“;
- 12 აპრილი- გორის I საჯარო სკოლის მოსწავლეთა ღონისძიება მიძღვნილი დედაენის დღისადმი;
- 13 აპრილი- გორის IX საჯარო სკოლის მოსწავლეთა ღონისძიება „დედა ენა“;
- 19 აპრილი-პროფესორ მამუკა ჯოლბორდის საჯარო ლექცია თემაზე „ ბედი გორელი სემინარიელისა-იოსებ ლაღიაშვილი“;
- 17 მაისი- მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი-ცოდნის გავრცელება „მუზეუმები განათლებისა და კვლევისათვის“;
- 18 მაისი-მუზეუმის საერთაშრისო დღე-

1. ღია კარის დღე
2. გამოფენა „დ. ერმაკოვის ფოტოალბომიდან“;
3. საუბრები არქეოლოგიაზე(ზ. შერაზადიშვილი);
4. გორის საზოგადოებრივი კოლეჯ „განთიადის“ სამკერვალო საქმის გამოსაშვები ჯგუფის სტუდენტთა მიერ შექმნილი ტრადიციული სამოსის ჩვენება-დეფილე(პედაგოგი მარინა ბეგლარიშვილი);
5. ხალხური შემოქმედებითი ანსამბლების კონცერტი.

- 26 მაისი -ღია კარის დღე. გამოფენა „XX ს-ის დასაწყისის ქართული პერიოდული პრესა“
- 1 ივნისი-ღია კარის დღე
- 12 ივნისი- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისის საინფორმაციო შეხვედრა თემაზე „ ქალები ოკუპაციის ხაზიდან“;
- 14 ივლისი- გორის კერძო ბაგა- ბაღ „ცეროდენას“ გამოსაშვები ჯგუფის ღონისძიება. ხელ-ი ინგა გულიშვილი;
- 22-26 ივლისი - პროექტი: მუზეუმის და გორის ახალგაზრდა ანალიტიკოს-მკვლევართა ორგანიზაციის საზაფხულო სკოლა-ბანაკი;
- 25 ივლისი-„სახალისო არქეოლოგია“ გორის ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის საზაფხულო სკოლის მოსწავლეების ჩართულობით;
- **18 სექტემბერი-** გორის ტურიზმის სააგენტოს და სასტუმროების წარმომადგენელტა სამუშაო შეხვედრა (რ. მაღლაკელიძე, თ. კოშორიძე);
- **16 ოქტომბერი-** საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელისა და თანამშრომლების შეხვედრა. დისკუსია ოკუპაციის ხაზის მიმდებარედ და არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავის ძეგლების შესახებ(პ. ბასიშვილი, თ. კოშორიძე);
- **20 ოქტომბერი-**შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის შემოქმედებითი კავშირის შეხვედრა პოეტ ნათელა თინიკაშვილთან(დ. ახლოური);
- **1 ნოემბერი-**ცხინვალის დროებითი ადმინისტრაციის მიერ გამოცემული წიგნის „ივანე მაჩაბელი-გზა ევროპისაკენ“ პრეზენტაცია
- **7 ნოემბერი-** მუზეუმის ახლაად გამოცემული ალბომის „მხატვრის თვალით დანახული ძველი გორი“ პრეზენტაცია(თ. სოსანიძე, თ.კოშორიძე);
- **14 და 21 ნოემბერი-** გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების თინათიმ მშვიდობაძის, მაკა სოსანიძის და ლალი ოსაძის საჯარო ლექციები თემაზე: პიარი, მარკეტინგი და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მუზეუმში;
- **15 ნოემბერი-**თ. სოსანიძის მიერ გამოცემული წიგნის „ მუზეუმის ერთგულებით“ პრეზენტაცია. წიგნი წლების წინ მოამზადა მუზეუმის აწ გარდაცვლილმა თანამშრომელმა, პუბლიცისტმა ვაჟა შაქარაშვილმა;
- **21. ნოემბერი-**ტრადიციული რეწვის ასოციაციის, USAID-ისა და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა (ა. შანშიაშვილი, თ.კოშორიძე);
- **22 ნოემბერი-გორის** სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მარიამ კობერიძის საჯარო ლექცია თემაზე“ იოანე ქართველიშვილის ქართული გრამატიკის ხელნაწერები“. ერთ-ერთი დაცულია ჩვენი მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში;

- საანგარიშო პერიოდში წიგნადი ფონდი გამდიდრდა 50 დასახელების წიგნით. წიგნები მიღებულ იქნა საჩუქრად ავტორებისაგან და კერძო პირებისაგან. აღნიშნული გამოცემები გატარდა საინვენტარო წიგნში და დამუშავდა საბიბლიოთეკო წესით;
- დასრულდა ახალი გამოცემების ინვენტარიზაცია. შედგა 400 ეგზემპლიარის ანბანური და დარგობრივი კატალოგი;
- ფონდში დაცული გამოცემებით ბიბლიოთეკარი სისტემატურად ემსახურება თანამშრომლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს;
- 26 მაისისთვის პერიოდიკის ფონდიდან საგამოფენოდ შეირჩა XX ს-ის დასაწყისის ქართული ჟურნალ-გაზეთები;
- ფონდში დაცული წიგნებით ისარგებლეს II საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საკონფერენციო თემის მომზადებისას;
- წიგნადი ფონდის კურატორს ასევე ჩაბარდა პერიოდულ გამოცემათა ფონდი. აქედან გამომდინარე, ივლისის თვიდან მიმდინარეობს ძველი პერიოდული გამოცემების აღწერა და საინვენტარო წიგნში გატარება. უკვე გატარებულია 2000 ერთეული;
- საანგარიშო პერიოდში წიგნადი ფონდი გამდიდრდა 59 დასახელების წიგნით. წიგნები მიღებულ იქნა საჩუქრად ავტორებისაგან და კერძო პირებისაგან.

- აღნიშნული გამოცემები გატარდა საინვენტარო წიგნში და დამუშავდა საბიბლიოთეკო წესით;
- ფონდში დაცული გამოცემებით ბიბლიოთეკარი სისტემატურად ემსახურება თანამშრომლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს;
- წიგნადი ფონდის კურატორს ასევე ჩაბარდა პერიოდულ გამოცემათა ფონდი. აქედან გამომდინარე, ივლისის თვიდან მიმდინარეობს ძველი პერიოდული გამოცემების აღწერა და საინვენტარო წიგნში გატარება. გატარდა 5650 ერთეული. სამუშაოთა მასშტაბის გამო, სააგენტოს მივმართეთ სამუშაოს დასრულების ვადის გაგრძელების თაობაზე.

სამეურნეო საქმიანობა:

- საანგარიშო პერიოდში დამთვალიერებელთა მომსახურების შედეგად მუზეუმის სალაროში შემოვიდა და ბანკში შეტანილია **3009 (სამიათას ცხრა) ლარი.**

- სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა მუზეუმის უკანა ეზოს კედლის შელესვა-მოწესრიგება;
- კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება ეზოს გარეთ არსებული არქეოლოგიის საცავის, ე/წ. „ბუნკერის“ საკითხი. ბუნკერში ჩასასვლელი კიბის მარჯვენა უჯრედში ატმოსფერული ნალექების შედეგად იჟონება წყალი, რის გამოც კედელი სისტემატურად სველია, კედელს მოშორდა საღებავის ფენა, გაჩნდა სოკო. კედლის მუდმივი სისველე კი წარმოქმნის მაღალ ტენიანობას, რაც აზიანებს ექსპონატებს. ფონდსაცავის ფართის სიმცირის პირობებში კი , ეს დამატებით პრობლემებს ქმნის...
- წვიმის წყლის ჩაჟონვისა და ნიადაგიდან აღებული ტენის გამო დაზიანებულია ეზოში არსებული არქეოლოგიის საცავის კედელი. ფონდის კურატორმა საკუთარი სახსრებით შეიძინა საჭირო მასალები. სასწრაფოდ გვესაჭიროება ხელოსანი, რომელიც მოახდენს დატენიანებული ადგილების საიზოლიაციო ფენით და წებოცემენტით შელესვას.

- კვლავ ვერ მოხერხდა ეზოში არსებული სასწავლო არქეოლოგიური ველის გადახურვა. აქ მიმდინარე საგანმანათლებლო პროექტი „სახალისო არქეოლოგია“ სკოლებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. გეოგრაფია ვრცელია- გორი, ქარელი, თბილისი, კასპი, მცხეთა, დუშეთი, ჟინვალი. წვიმიან ამინდში გვიწევს უარის თქმა პროექტის განხორციელებაზე და რამდენიმე დღე ველოდებით მიწის გაშრობას;
- გვესაჭიროება მუზეუმში შემოსასვლელი ბილეთების საკითხის მოგვარება-დიზაინი, ბეჭდვა.
- მუზეუმის, როგორც სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების გამართ ულად მუშაობისათვის სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია ბიუჯეტის დაგეგმვისას აუცილებლად იქნეს გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:
    1. სამეცნიერო კვლევები;
    2. წიგნების ბეჭდვა;
    3. ახალი ექსპონატების შეძენა;
    4. რესტავრაცია-კონსერვაცია;
    5. პოპულარიზაცია/ პიარ კამპანია;
    6. თანამშრომელთა გადამზადება-სპეციალისტების მოწვევა წამყვანი მუზეუმებიდან;
    7. საერთაშორისო ურთიერთობები- თუნდაც ერთი სასწავლო ვიზიტი უცხოეთის რომელიმე სამუზეუმო ცენტრში;
    8. სასიცოცხლოდ აუცილებელია თუნდაც 2 ახალგაზრდა თანამშრომლის მიღება სოციალურ სივრცეში მუზეუმის პოპულარიზაციის და ფონდში დახმარების მიზნით!
    9. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მატება!

აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი,
ნიკო ლომოურის სახლ მუზეუმი

16 თებერვალი- წიგნის საჯაროდ კითხვის კვირეულის ფარგლებში ძევერის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა შეხვედრა ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელ-მუზეუმში.
ღონისძიებაზე მოწვეული იყო მწერალი ქეთი ჯოლბორდი,რომელმაც ახალგაზრდებს გააცნო თანამედროვე ავტორის, დათია ბადალაშვილის მოთხრობები კრებულიდან ,,ლეკვების სამოთხე“.

16 აპრილი- დედა ენის დღესთან დაკავშირებით, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში, ძევერის საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა საინტერესო და სახალისო აქტივობა გამართეს.
პატარებმა თითოეულ ასო-ბგერაზე დახატეს ნახატები და გააფერადეს. შემდეგ პედაგოგ ნანა ოქროპირიძესთან ერათად აკინძეს ხელნაკეთი ,, დედა ენა."
წიგნის ბოლო გვერდზე,მოსწავლეებმა ,როგორც თანაავტორებმა საკუთარი ხელწერაც დატოვეს.

16 აპრილი- ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში, არბოს საჯარო სკოლის პირველკლასელებმა დედა ენის დღე საინტერესო და სახალისო აქტივობით აღნიშნეს
პატარებმა თითოეულ ასო-ბგერაზე დახატეს ნახატები და გააფერადეს. შემდეგ პედაგოგ ნანა ოქროპირიძესთან ერათად აკინძეს ხელნაკეთი ,, დედა ენა."
წიგნის ბოლო გვერდზე,მოსწავლეებმა ,როგორც თანაავტორებმა საკუთარი ხელწერაც დატოვეს.

27 აპრილი- ,,დედამიწის დღე",ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში არბოს საჯარო სკილოს მოსწავლეებმა დაასუფთავეს მუზეუმის ეზო და დარგეს მცენარეები.

17 მაისი- ნიკო ლომოურის და ალექანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმებს სტუმრობდნენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის საველე ოფისის წარმომადგენლები. საუბარი შედგა კულტურული ძეგლების შესახებ.
მუზეუმის მიმდინარე და სამომავლო გეგმებზე. ერთობლივი პროექტების შემუშავებაზე, სათანადო დონეზე მუზეუმის პოპულარიზაციაზე, ტურიზმის განვითარებაზე, მიმზიდველი გარემოს შექმნაზე და კიდევ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

18 მაისი მუზეუმების საერთშორისო დღე. არბო-ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი.

ღია კარის დღე.
13:00- შეხვედრა მწერალ ქეთი ჯოლბორდათან - „იპოვე საკუთარი თავი ლიტერატურაში''.
ძევერა-ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი .
ღია კარის დღე.
12:00- აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის შვილის, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის ნახატების გამოფენა.

24 მაისი- აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა გორის უნივერსიტეტის პროფესორ მამუკა ჯოლბორდის საჯარო ლექცია თემაზე: „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა."

ივნისი- ნიკო ლომოურის სახლ-მუზეიმში,ორგანიზაცია ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT) მიმდინარე წლის 4 ივნისიდან ახორციელებს პროექტს „2008 წლის ომით დაზარალებულების ფსიქოსოციალური და სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა“.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი აქტივობაა ბავშვებთან და მოზარდებთან სხვადასხვა უნერების განმავითარებელი შეხვედრების განხორციერლება. შეხვედრების მიზანია ბავშვებს დავეხმაროთ სტაბილური ფსიქოემოციური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, სტრესთან გამკლავების გზების შესასწავლად და იმ უნარების განსავითარებლად, რაც გამოწვებების დროს საკუთარ თავზე ზრუნვის დრო არის აუციელბელი.

19 ივლისი - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ არბოში, ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში, გაიმართა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „მაჩაბელის“ დახურვის ცერემონია.

26 ივლისი - პროექტი ,,საზაფხულო დღის ბანაკი“/ ,,საზაფხულო სკოლის“ ფარგლებში ახალგაზრდები სტუმრობდნენ ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმს და ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ მუზეუმს.

24 სექტემბერს, მწერალ ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში,ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ გაიმართა სპექტაკლი ,,ოქროს წიწილა."

25 სექტემბერს, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში,ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ გამართა სპექტაკლი ,,ოქროს წიწილა,"

18 ოქტომბერს აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ ძევერის საჯარო სკოლის პირველკლასელები .პროექტი: ,,ჩემი პირველი შემეცნებითი/სახალისო დღე მუზეუმში".პატარებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

19 ოქტომბერს ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ არბოს საჯარო სკოლის პირველკლასელები .პროექტი: ,,ჩემი პირველი შემეცნებითი/სახალისო დღე მუზეუმში".პატარებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

18 დეკემბერი - ალ.ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში ჩატარდა საახალწლო ღონისძიება

22 დეკემბერი - ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში ჩატარდა საახალწლო ღონისძიება

25 დეკემბერი - ალ.ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში ჩატარდა საახალწლო ღონისძიება

2024 წელს ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი დაათვალიერა 498 ადგილობრივმა დამთვარიელებელმა, 10 უცხოელმა.

აკ. ალექსანდრე ჯავახიშვილის მუზეუმი დაათვალიერა 178 ადგილობრივმა დამთვალიერებელმა

საბრძოლო დიდების მუზეუმი

2024 წლის 7თვეში მუზეუმი დაათვალიერა:

ტურისტი - 494
სტუდენტი - 106
მოსწავლე - 240
ინდივიდი - 848

ჯგუფი - 22 (260)
ლექცია- 17
უფასო - 343
ფასიანი - 838

1. მუზეუმში ამ დროისთვის შემოსულია 1 ექსპონატი და 5 სამეცნიერო დამხმარე მასალა, რომლებიც დამუშავებულია და შეტანილია საინვენტარო წიგნებში და ექსპოზიციაში.

2. გამარჯვების დღესთან დაკავშირებით 9 მაისს გაკეთდა გამოფენა მეორე მსოფლიო ომის დროს გამოშვებული ყველაზე ძვირადღირებული ორდენების.

მწერალთა სახლი

1. 1.7 იანვარი- შობა მწერალთა სახლში. მწერლები შევხვდით პოეტ თამარ ლომსაძეს
2. (იუბილარს) და ასევე წავიკითხეთ საახალწლო-საშობაო ლექსები.

3. 11 იანვარი- მწერალთა სახლში სტუმრად მწერალი ნინო ჭელიძე. განვიხილეთ მისი ახალი ნაწერები.
4. 26 იანვარი- თბილისში, მწერალთა სახლში გაიმართა ჯემალ ინჯიას საღამო. მისი წიგნის „ხელწერა ხომ არ წამიხდა“ პრეზენტაცია.
5. 5 თებერვალი- ნოდარ მდინარიძის სალონური საღამო.
6. 14 თებერვალი- წიგნის ჩუქების საერთაშორისო დღე. სტუმრად ბერშუეთის საჯარო სკოლა.
7. 15 თებერვალი- მწერალთა სახლში ახალგაზრდებთან მუშაობის დღე.
8. 29 თებერვალი- ახალგაზრდა მწერლის, ზაზა ინჯიას გახსენება. წიგნის „რომანი და მოთხრობები„ პრეზენტაცია, მისი დაბადებიდან 60 წლის თარიღთან დაკავშირებით.
9. 5 მარტი- გორის მწერალთა სახლში ახალგაზრდა პოეტის, გაგა გოგსაძის შემოქმედებითი საღმო.
10. 8 მარტი- ქალბატონ მწერლებთან შეხვედრა, გადავეცით ყვავილები და მივულოცეთ
11. დედის და ქალთა დღე.
10. 20 მარტი- ალექსანდრე ტაბატაძე 90. სტუმრები ახალციხიდან და პოეტის საღამო-გახსენება.
11. 1 აპრილი- ერთი ლექსის საღამო. გაზაფხული და პოეზია.
12. 14 აპრილი- 14 აპრილთან დაკავშირებით მწერალთა სახლში გამოცხადდა კვირეული „საუბარი დედაენაზე და წიგნზე, ბავშვები და მწერლები“. ერთი კვირა ყოველდღე მოდიოდნენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები.
13. 19 აპრილი- აღვნიშნეთ წიგნის ჩუქების დღე გარე სამყაროში. მოქალაქეებს დავურიგეთ წიგნები და ჟურნალები.
14. 26 აპრილი- მწერალ, სოფიო მექვაბიშვილის წიგნის „სულის სიმფონია“ წარდგენა და საიუბილეო საღამო.
15. 14 მაისი- ლიტერატურის საერთაშორისო ფესტივალი გორის მწერალთა სახლში, სტუმრად უცხოელი მწერლები ისრაელიდან, თურქეთდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან. დაჯილდოვდნენ გორელი წარჩინებული მწერლები მედლებით და პრემიებით.

16. 23 მაისი- სიღნაღიდან წნორის კერძო სკოლა ეტალონი „ეტალონი 2015“ პირველკლასელები შეხვდნენ მწერლებს დედაენის ზეიმით.
17. 10 ივნისი- სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლში ბატონი ლევან ხარაბაძე და რწმუნებულის პირველი მოადგილე ბატონი სიმონ გულედანი სტუმრად მწერალთა სახლში. დაათვალიერეს ჩვენი მუშაობა და გაეცნენ ჩვენს საჭირბოროტო საკითხებს.
18. 12 ივნისი- მწერალთა სახლის დარბაზში იოანე ზოსიმეს სკულპტურასთან გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა მისი ხელნაწერის სინას მთის კოლექციიდან საქართველოსთვის გადმოცემას.
19. 15 ივნისი- მწერლები საქართველოს მწერალთა კავშირის შემოქმედებით ყრილობაზე.
20. 5 ივლისი- ნოდარ მდინარიძის შემოქმედების სალონური საღსმო მის იუბილესთან დაკავშირებით.
21. 17 ივლისი - სტუმრად „ამერიკული სკოლიდან“ ზაფხულის სკოლის მოსწავლეები, რომლებსაც გადავეცით წიგნები და საწერი კალმები სამახსოვროდ.
22. 14 სექტემბერი - პედაგოგებისა და გამომცემლობა „ტრიასის“ ავტორების შეხვედრა მწერლებთან.
12. 1 ოქტომბერი - ხანდაზმულები მწერალთა სახლში.
13. 3 ოქტომბერი - ნანი გიგაშვილი - ჯავახიშვილის წიგნის პრეზენტაცია და შემოქმედებითი საღამო.
14. 5 ოქტომბერი - სამხრეთ-ოსეთის ადმინისტრაციის ღონისძიება მწერალთა სახლში. იოსებ მეგრელიძის წიგნის „სიძველეები ლიახვის ხეობაში“ - პრეზენტაცია.

15. 6 ოქტომბერი - ნინო საძაგლიშვილის პროზაული კრებულის „დაშლილი კალეიდოსკოპი“ - პრეზენტაცია.
16. 9 ოქტომბერი - ხანდაზმულები მწერალთა სახლში. შეხვედრა მწერლებთან.
17. 27 ოქტომბერი - „იაკობობა“. მწერალთა სახლში გავიხსენეთ იაკობ გოგებაშვილი და შემდეგ ვარიანში მუზეუმში გადავინაცვლეთ.
18. 6 ნოემბერი - ანა კალანდაძე 100, პროექტის ფარგლებში მწერალთა სახლში მოსწავლეები გვესტუმრნენ.
19. 15 ნოემბერი - ნინო ჭელიძის შემოქმედებითი საღამო.

გორის ცენტრალური ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს: 35868 ეგზ.
მკითხველზე გაიცა: 7646 წიგნი.
ახალი მკითხველის რაოდენობა: 1216
სულ ბიბლიოთეკით ისარგებლა: 8072 პიროვნებამ.
გაიცა: 47 ბიბლიოგრაფიული მონაცემი

ბიბლიოთეკა მკითხველს ემსახურება კომპიუტერული ტექნიკით, აუდიო აპარატურით და სხვადასხვა ასაკისა და გემოვნების მქონე მოსწავლეებზე გათვლილი სათამაშოებით, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდებში სასარგებლო და საჭირო უნარების განვითარებას. მიმდინარე წელს აღნიშნული ტექნიკით მოხდა-1413 ადამიანის მომსახურება.
ბიბლიოთეკის ცნობადობის გაზრდის მიზნით განხორციელებული აქტივობები კი ასე გამოიყურება.
23 იანვარი--სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ცენტრალური ბიბლიოთეკის მხარდაჭერით მუშაობა დაიწყო პროექტზე დღის ცენტრი+ბიბლიოთეკა
24 იანვარი--ცენტრალურიბი ბლიოთეკის “ამერიკის სივრცეში” გამოცხადდა ფოტო-კონკური “ გორი ჩემს ობიექტივში” ციფრული გამოფენის შემადგენელი, რომელიც გორის საჯარო სკოლაში მოეწყობა იქნება კონკურსში გამარჯვებულთა მიერ გადაღებულ ფოტოები და აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლისა და ფრინლასერი ფოტოგრაფის, მარიო მონტოიას, ნამუშევრები.
24 იანვარი--პროექტი ,,მეწარმე ქალები" პროექტს ახორციელებს პედაგოგი მერი ტერუნაშვილი,ცენტრალური ბიბლიოთეკის მხარდაჭერით მე-11 და ტინისხიდის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად. პირველ შეხვედრას უძღვებოდა, სოციალური მეწარმე, ქალბატონი მარინა ბენდელიანი!
5 თებერვალი--გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართა პრეზენტაცია თემაზე ,,ლონდონის ღირშესანიშნავი ადგილები" მონაწილეობდნენ ბერბუკის საჯარო სკოლის მოსწავლეები პედაგოგი ციცი ბუზიშვილი,
5 თებერვალი--დაიწყო ,,წიგნის საჯაროდ კითხვის" კვირეული გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ჩვენი სტუმრები მე-10 საჯარო სკოლის მე-4ბ კლასის მოსწავლეები იყვნენ, კლასის ხელმძღვანელი დალი მიჩიტაშვილი. სტუმრებმა წიგნთან დაკავშირებული მრავალფეროვანი აქტივობა წარმოადგინეს.
7 თებერვალი--,,წიგნის საჯაროდ კითხვის" კვირეული. მე-4 საჯარო სკოლის IV კლასმა, კლასის ხელმძღვანელი მაია ქანაშვილი, აუდიტორიას წარმოუდგინა ლადო ასათიანის შემოქმედება.
7 თებერვალი--,,წიგნის საჯაროდ კითხვის" კვირეული. I საჯარო სკოლის ლიტერატურულმა კლუბმა ,,მინერვა,"ხელმძღვანელი ვერიკო სებისკვერაძე, წარმოადგინა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი მონო სპექტაკლი.

7 თებერვალი--,,წიგნის საჯაროდ კითხვის" კვირეული. ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველებს და მათ პედაგოგებს შეხვდა გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე, მსახიობი მერაბ ჭანკოტაძე და თეტრალური სტუდიის მოსწავლე მარიამ ნასყიდაშვილი. სტუმრებმა თბილი კომუნიკაცია დაამყარეს ახალგაზრდებთან, ბევრი სასიკეთო რჩევა გაუზიარეს, დაგეგმეს მომავალი თანამშრომლობა...და რა თქმა უნდა, ჟღერდა ქართული ლექსი და პროზა.

10 თებერვალი--,,წიგნის საჯაროდ კითხვის" კვირეული. ინგლისურენოვანი კლუბი ,,English time,, და წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე. გაიმართა პრეზენტაცია,მოსწავლეები გაეცნენ როდის და რატომ აღინიშნება ეს დღე,რა მიზანი აქვს მას, შემდეგ კლუბის წევრებმა წაიკითხეს ნაწარმოები ინგლისურ ენაზე და ისაუბრეს მის შესახებ. ამით დასრულდა წიგნის საჯაროდ კითხვის დღეები ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

13 თებერვალი--დღეს ცენტრალურ ბიბლიოთეკას სტუმრობდა მე-7 საჯარო სკოლის STEAM კლუბი ,,მომავლის თაობა."კლუბის წევრებმა წარმოადგინეს გახორციელებული პროექტები: ქარის გენერატორი, წყალით მავალი მანქანა, ხაზზე მავალი რობოტი, გარე განათება შუქდიოდით, სპიდომეტრი, ჰაერში მავნე ნივთიერების აღმომჩენი და სხვა.
მადლობა გაწეული მუშაობისთვისკლუბის განსაკუთრებულად ნიჭიერ წევრებს და მათ პედაგოგებს: ნინო ბერიძეს, გიორგი კუპრიაშვილს,სვეტა გორგიშელს, ეკატერინე ფურცელაძეს, ნონა ხეჩიკაშვილს.

13 თებერვალი--ფუნქციონირება დაიწყო ინგლისური ენის კლუბმა, ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში.
23 თებერვალი--საჯარო ლექცია თემაზე: 1921 წლის 25 თებერვალი, საქართველოს ოკუპაცია.ლექციას უძღვებოდა საქართველოს თავსაცვის აკადემიას და სამხედრო ისტორიის პედაგოგი გიორგი ბერიძე.
ღონისძიებაში ჩართული იყვნენ მე-10 საჯარო სკოლა, სსიპ ქ. გორის #8 საჯარო სკოლა-ს, გორის პირველი საჯარო სკოლა და სკოლა ,,თამარიონი"-ს მოსწავლეები და პედაგოგები.

23 თებერვალი--საბავშვო პოეტის მაყვალა მრევლიშვილის დაბადების 115 წლისადმი (1909- 1992) მიძღვნილი ,,პოეზიის საათი"
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ხიდისთავის საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი ელეონორა მიჩიტაშვილი.

5 მარტი--დედის დღისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი, საინტერესო და მხიარული აქტივობა გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ღონისძიებაში ჩართულები იყვნენ გორის პირველი საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელს ელეონორა მიჩიტაშვილი.

7 მარტი--გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში გაიმართა ქალთა დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეოდნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგი თეა სადაღაშვილი. მონაწილეებმა გამართეს პრეზენტაცია, გამოჩენილი ამერიკელი ქალბატონები.

15 მარტი--ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეს ესტუმრა ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროპისა და კავკასიის ქვეყნების, რეგიონალური უფროსი ანნა ბარბოსა, აშშ საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც შეხვდა ჩვენი სივრცის სტუდენტებს და კულტურის სააგენტოს წარმომადგენლებს.
შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში

16 მარტი-- გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში გაიმართა National Spelling Bee-2024 რეგიონალური კონკურსი.
National Spelling Bee-2024 რეგიონალური შეჯიბრის გამარჯვებული გახდა მე-7 სკოლის მოსწავლე თეკლა კავკასიძე რის შედეგადაც, თეკლა გაემგზავრება 15 აპრილს ,აშშ-ს საელჩოში ეროვნულ Spelling Bee-2024 -ში მონაწილეობის მისაღებად.
ჟიურის წევრებს წარმოადგენდნენ: ედუარდ და დონა რაუპები,მარინა ტერტეროვი, თეა სადაღაშვილი.

21 მარტი-- დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე!
საჯარო ლექცია გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ლექციას უძღვებოდა
ფსიქოლოგი ეკა ჯაფიაშვილი, აუდიტორიას წარმოადგენდა გორის მეოთხე და მეათე საჯარო სკოლის მოსწავლეები.

21 მარტი-- გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეს საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი (GSAC) და ჯეოქეისი (Geocase) ესტუმრა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა თემატური დისკუსია თემაზე „ევროინტეგრაცია და დემოკრატიული განვითარება''. შეხვედრას უძღვებოდნენ:
დავით კაპანაძე - საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის უფროსი მკვლევარი;
ვახტანგ კაპანძე - გენერალ-მაიორი, "ჯეოქეისის" თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი;

2 აპრილი--საბავშვო წიგნის მსოფლიო დღე! შეხვედრა საყმაწვილო მწერალთან თამარ გეგეშიძესთან
3 აპრილი-- დისკუსია ,,ვეფხისტყაოსნის'' სწავლებასთან დაკავშირებით. ,,ვეფხისტყაოსნის'' სწავლების მეთოდიკა. შეხვედრას უძღვებოდა სკოლა „თამარიონი“-ს პედაგოგი მარიამ წიქარიძე.

11 აპრილი--გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში გაიმართა მორიგი ონლაინ შეხვედრა სმითსონიანის ამერიკული ხელოვნების მუზეუმთან.
შეხვედრის თემა იყო: Let's Talk about Art with Smithsonian American Art Museum - Art & Propaganda

12 აპრილი--დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,ქართული ენის თავგადასავალი" აქტივობაში მონაწილეობდნენ სკოლა ,,თამარიონი"-ის მოსწავლეები, ქალბატონ თამარ უთნელიშვილი და პედაგოგი მარიამ წიქარიძე.

15 აპრილი-- დედაენის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება საქაშეთის საჯარო სკოლის მოსწავლეების, პედაგოგი სოფიო ნარიაშვილი, პრეზენტაცია ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის შესახებ!
15 აპრილი-- თორტიზის საჯარო სკოლის მოსწავლეების, პედაგოგი ეკა კობლიაშვილი, აქტივობა მიძღვნილი დედა ენის დღისადმი!
16 აპრილი-- დედა ენის დღე! მეცნიერებათა სკოლის მე-2 ბ კლასი! პედაგოგები ია საათაშვილი, ლელა გიგაური, ბიბლიოთეკარი ნატო ნოზაძე!

15 აპრილი-- საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის ინიციატივითა და ცენტრალური ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ჩატარდა სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ- მუსიკალური საღამო!
23 აპრილი--თემატურად დატვირთული იყო დღევანდელი შეხვედრა გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ერთდროულად აღინიშნა წიგნის საერთაშორისო და დედამიწის დღე. სტუმრად კი სკრისა და კარალეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები გვყავდა. ბავშვებთან ერთად

ბიბლიოთეკაში იმყოფებოდნენ სკოლის დირექტორები ლანა ფერაძე და ლედი მარკოზაშვილ. პედაგოგები ნინო სარქისიანი და ლია თედლიაშვილი. თანამშრომელს სოფო მეგრელიშვილი. სტუმრებს ბიბლიოთეკისგან საჩუქრად წიგნები გადაეცათ.

24 აპრილი--ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკის სივრცეში მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ინგლისურის საერთაშორისო დღე აღნიშნეს. პროექტში მონაწილეებმა გააკეთეს პრეზენტაცია უილიამ შექსპირის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე!

1 მაისი--წიგნის კლუბი შეხვედრაზე განხილული იქნა აფრო- ამერიკელი სამოქალაქო უფლებების დამცველი როზა პარკსის ისტორია.

24 მაისი--დაიწყო განხორციელება ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის, ,,წინ იარეთ ქალებო," რომელიც გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკის სივრცის მიერ არის ორგანიზებული.

31 მაისი--ბავშვთა მსოფლიო დღეს მიეძვნა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართული ფილმის ჩვენება! ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმები: კაიაო, შავი და თეთრი და რომი. ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია!

7 ივნისი--ამერიკელ დიპლომატებთან შეხვედრა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, შეხვედრის თემა: ,,მედიაწიგნიერება.”

10 ივნისი--პროექტ ,,ოკუპაციის შტრიხების ფარგლებში პროექტში ჩართულმა მოსწავლეებმა მოიინახულეს კასპში ნ.ნიპარიშვილის სახელობის სკოლა- გიმნაზიაში არსებული ოკუპაციის მუზეუმი საოცარი ისტორიული მასალებით და მოვისმინეთ ფაქტებზე დაყრდნობილი საბჭოთა საქართველოს ისტორიები.

11 ივნისი--ვარიანის საჯარო სკოლის ლიტერატურული კლუბის წევრებმა კლუბის სამუშაო შეხვედრა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართეს.

19 ივნისი---ნატოს სამეკავშირეო ოფისის მხარდაჭერით გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში გაიმართა ფილმის ჩვენება ,,Turning point: The Bombard the Cold War,,
ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია ნატოს ოფისის დიპლომატების მონაწილეობით.

24 ივნისი---პროექტ „ოკუპაციის „ფარგლებში მორიგი აქტივობა შედგა: მოსწავლეებმა გორის უნივერსიტეტში ლექტორებისა და სტუდენტების წინაშე წარადგინეს პრეზენტაციები, რის შემდგომაც გაიმართა დისკუსია.

5 ივლისი---გორის ამერიკულ სკოლასთან არსებული, საზაფხულო სკოლის, მოსწავლეების აქტივობა, გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში!
პედაგოგი ნატალია ბერკაცაშვილი, მოხალისეები ნინი ბასილიძე და ლიზი თაბუაშვილი!

5 ივლისი--- საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის ინიციატივით, სოლომონ ხუციშვილის სახელობის გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ჩატარდა ვაჩე რაინდელის (ილია ჭკადუა) პოეზიის საღამო.
პოეტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ახალ წიგნი- ,,ედემის ჩიტი", ვაჩესთან ერთად დედაქალაქიდან გვესტუმრნენ ცნობილი მწერლები, ლიტერატორები. შესრულდა მუსიკალური ნომრები.
საღამო ჩატარდა ლიტერატურული პროექტის ,,ქართლის საღამოების” ფარგლებში.

5 ივლისი--- ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკის სივრცეში ფუნქციონირებს, აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და გასართობი აქტივობებით დატვირთული საზაფხულო სკოლა, ამერიკული სივრცის აქტიური მომხმარებლებისათვის!

22-27 ივლისი---ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკის სივრცეში ფუნქციონირებდა, აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და გასართობი აქტივობებით დატვირთული საზაფხულო სკოლა, ამერიკული სივრცის აქტიური მომხმარებლებისათვის.

7 სექტემბერი-- საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის ინიციატივით და ცენტრალური ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ჩატარდა ტერი გრინის (დავით მერებაშვილი) შემოქმედებითი საღამო.

2 ოქტომბერი--გოდერძი ჩოხელის დაბადების 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით ფილმის ,,ადამიანთა სევდა", ჩვენება- განხილვა. ღონისძიებაში მონაწილეოდნენ. ურბნისის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

9 ოქტომბერი--გორის ,,კეთილდღეობის და განვითარების ცენტრის" ბენეფიციარებთან ცვენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკული სივრცემ განხორციელა პროექტი: ,,ცხოვრება ობიექტივიდან"

15 ოქტომბერი--ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ დაიწყო პროექტის განხორციელება ,,ბავშვთა უფლებების დაცვა'' პროექტში ჩართულები არიან საჯარო სკოლის მოსწავლეები.პროექტს ხელმძღვანელობენ: ტრენერები: ქეთი მღებრიშვილი და მერი ბეჟუაშვილი

17 ოქტომბერი--საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის ინიციატივით, ცენტრალური ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ჩატარდა ქალთამზე ჯინჯოლავას პოეზიის საღამო.პროექტის ,,ქართლის საღამოების'' ფარგლებში.

24 ოქტომბერი---ონლაინ სკოლა ,,შენი მასწავლებელი,, და ცენტრალური ბიბლიოთეკის ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე დაფუძნდა სამაგიდო თამაშების ინგლისურენოვანი ინტერაქტიული კლუბი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ინგლისური ენის სწავლებაში და მეტყველებისკომპლექსების დაძლევაში. კლუბის წამყვანი პედაგოგი- ნესტან წიქარიძე

31 ოქტომბერი---,,ჰელოუნი"ამერიკული დღესასწაული ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში

25 ნოემბერი--პოეზიის საათი. გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება მე-3 საჯარო სკოლის უფროსკლასელები. პედაგოგი მანანა ჯავახიშვილი

26 ნოემბერი--ონლაინ სკოლა ,,ჩვენი მასწავლებელი" და ცენტრალური ბიბლიოთეკის ინტერაქტიული ამჯერად რუსულენოვანი კლუბის მეტად საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრა!

27 ნოემბერი--მადლიერების დღე ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკულ სივრცეში. სივრცის სტუდენტებთან გაიმართა ქვიზი, პრეზენტაცია და სხვადასხვა სახალისო აქტივობა. ტრენერები: თეა ფალელაშვილი, ხათუნა დოლიაშვილი, ეკა ხანგანიანი!

2 დეკემბერი--საჯარო ლექცია თემაზე: ქართული ენის დაფარული საიდუმლოებანი, ქართული ჰემეტრია! ლექციას უძღვებოდა პროფესორი ალეკო ცინცაძე!

3 დეკემბერი--სამოქალაქო განათლების კლუბი-შეხვედრის თემა ტოლერანტობა, კლუბის ხელმძღვანელი მერი ბეჟუაშვილი.

5 დეკემბერი--ვირტუალური რეალობა- ქართველ მხატვართა ნიკო ფიროსმანისა და ლადო გუდიაშვილის ვირტუალური გამოფენა. ღონისძიების ორგანიზატორი გიორგი ტალახაძე.

6 დეკემბერი--„ილია და საქართველო" გორის მე-11 საჯარო სკოლის უფროსკლასელები, პედაგოგი მედეა ჩადუნელი.

13 დეკემბერი--ლიტერატურული კლუბი ჩემი საყვარელი ნაწარმოები და ლიტერატურული გმირი. მე-10 საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეები პედაგოგი ნათია პატარაია.

18 დეკემბერი--შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება ცენტრალური ბიბლიოთეკის ამერიკის სივრცეში! ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სივრცის მომხმარებლები.

ახალგაზრდული ბიბლიოთეკა

2024წ-ის წიგნადი ფონდი შეადგენს 20870 ეგზემპლიარს.

ახალი მკითხველი 476.

დამსწრეთა რაოდენობა 1788.

წიგნის გაცემა 3027.

გორის ახალგაზრდული ბიბლიოთეკა ემსახურება,როგორც ქალაქის ასევე რაიონის მოსახლეობას. მკითხველთა მოზიდვის მიზნით, ბიბლიოთეკაში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიება და აქტივობა, მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. სადაც ჩართულები არიან გორის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლის მოსწავლეები , პედაგოგები და ბიბლიოთეკის მკითხველები.

მიმდინარე წლის ღონისძიებები.

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესათან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

5 თებერვალს ვესტუმრეთ N4-ე საბავშვო ბაგაბაღის აღსაზრდელებს და წავუკითხეთ საბავშვო ზღაპრები და მოთხრობები.

7 თებერვალს 2-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა მ.რატიშვილმა და მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები და ამონარიდები საყვარელი ნაწარმოებებიდან.ამ ღონისძიებაში ჩართულები იყვნენ ჩვენი აქტიური მკითხველები ქალბ.მაგული გარდაფხაძე და ბადრი ციქუბაძე.

წიგნის საჯარო კითხვის საერთაშორისო დღეს შემოუერთდნენ მე-12 საჯარო სკოლის პედაგოგი მ.უნაფქოშვილი და მისი მოსწავლეები მშობლებთან ერთად.ბავშვები გაეცვნენ ბიბლიოთეკის მუშაობის პრინციპს და წიგნის როლს მათ განვითარებაში.პედაგოგმა და მშობლებმა წაუკითხეს ბავშვებს ზღაპრები და მოთხრობები,გაიმართა სხვადასხვა სახის აქტივობა.

27 თებერვალს - მეთოდური დახმარების მიზნით ვესტუმრეთ ყელქცეულის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას.

28 თებერვალს - ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება თემაზე,,წიგნის როლი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში“მონაწილეობა მიიღო მე-7 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის,,ჩვენი მწიგნობარი“ წევრებმა და პედაგოგმა ლ.ჯეირანაშვილმა.მათ პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს სხვადასხვა თემაზე შექმნილი პროექტები.ბავშვებთან ერთად ღონისძიებაში ჩართულები იყვნენ მშობლები.

1 მარტი - წიგნის ხმამაღლა კითხვის დღისათვის მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გორის ახალგაზრდულ ბიბლიოთეკაში სხავადასხვა ღონისძიება ჩატარდა.

აქტივობის მიზანი იყო მოსწავლე ახალგაზრდებში წიგნის კითხვის პოპულარიზაცია.

* ბიბლიოთეკის გასვლითი ღონისძიება მე-4 ბაგაბაღში.

7 მარტს- დედის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება.ღონისძიებას უძღვებოდა ჩვენი აქტიური მკითხველი ქალბ. მაგული გარდაფხაძე,მოწვეულები იყვნენ გორის მწერალთა კავშირის წევრები ქალბატონები:ო.ბრაგვაძე,თ.ლომსაძე, მ.მოგელაშვილი, თ.გოგიძე,ლ.ქობესაშვილი , ი.კარიჭაშვილი და პედაგოგი ქალბატონი მ.სუხაშვილი. გამოცხადდა კონკურსი მხატვრულ კითხვაში და მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა. ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებული და დააჯილდოვა წიგნებით და ყვავილებით.

ღონისძიებას ესწრებიდნენ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის ხელშეწყობის სააგენტოს მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და მწერალთა სახლის განყოფილების უფროსი ქალბ.თამარ ზურაბაშვილი და მოადგილე ირმა ჩიტუაშვილი.

ღონისძიება მუსიკალურად გაალამაზა გორის ვ.მურადელის სახელობის მუსიკალური სკოლის გიტარის კლასის მოსწავლეებმა(პედაგოგი თ.გიუნაშვილი)

21 მარტი - მეთოჯინეთა საერთაშორისო დღეს შეუერთდა ჩვენი ბიბლიოთეკა საკუთარი შემოქმედებით.მოეწყო ხელნაკეთი თოჯინების გამოფენა.

2 აპრილი - წიგნის მსოფლიო დღესათან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში მოეწყო ღონისძიება,მონაწილეობდნენ კარალეთის 1-ელი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ქალბ.ფ.თუშისვილი და მისი მოსწავლეები.მათ მიმოიხილეს თავისი საყვარელი ნაწაარმოები და დაახასიეთეს პერსონაჟები.

12 აპრილი- დედაენის დღესათან დაკავშირებით მოეწყო მე-12 საჯარო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა.მოსწავლეებმა პედაგოგის მ.უნაფქოშვილის ხელმძღვანელობით შექმნეს ,,ქართული ანბანი“ წიგნი.

19 აპრილი- დედაენის დღეს მიეძღვნა აქტივობა,რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგმა ქალბ. ე.კობლიაშვილმა.

23 აპრილი- წიგნის ჩუქების დღესათან დაკავშირებით ჩატარდა კოსტუმირებული ღონისძიება.მონაწილეობა მიიღო 12-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა,მშობლებმა და პედაგოგმა მ.უნაფქოშვილმა.მათ წარმოადგინეს გასაჩუქებელი წიგნის პერსონაჟი და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ერთმანეთს აჩუქეს წიგნები.

15 მაისი - საქართველო აღნიშნავს შოთა რუსთაველის დღეს.ამ თარიღთან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება კარალეთის 1-ლი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ვეფხისტყაოსნიდა წაიკითხეს სტროფები და წარმოადგინეს კალიგრაფიის ნიმუშები.ბავშვებს წახალისების მიზნით გადაეცათ სიგელები.

ივნისის თვის განმავლობაში მიმდინარეობდა წიგნების გადარჩევის და გადალაგების პროცესი ახლად გასახსნელი ბიბლიოთეკისათვის. წიგნები გადაირჩა და ეტაპობრივად განხორციელდა მისი განთავსება სტელაჟებსა და ოთახებში.

14 ოქტომბერი - გოდერძი ჩოხელის 70 წლის იუბილე. წიგნების გამოფენა, ფილმის ჩვენება დამეგობრებული სკოლის მოსწავლეებთან ერთად.

29 ოქტომბერი: რუსთაველის დღე, პოეზიის დღე, წიგნების გამოფენა.

20 ნოემბერი: ღონისძიება „მე ასეთი შემოდგომა მიყვარს“ გორის 4-ე საჯარო სკოლის 4-ე კლასის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად.

ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილება

ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილებამ განახორციელა ღონისძიებები როგორც ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების

ხელშეწყობის სააგენტოს მიერ დამტკიცებული და გორის მერიასთან შეთანხმებული წლიური ღონისძიების გეგმით გაწერილი საქმიანობების შესაბამისად, ისე დამატებითი პროექტებისა და ინიციატივების გათვალისწინებით.

- 24 თებერვალს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში გაიმართა მრავალი საერთაშორისო პრემიის ლაურეატის და კონკურსის პრიზიორის, ცნობილი ქართველი პოეტის დავით მაღრაძის საჯარო ლექცია, რომელიც ქართველ იუნკერთა ხსოვნის დღეს მიეძღვნა. შეხვედრა კითხვა - პასუხის რეჟიმში წარიმართა. პოეტმა ახალგაზრდებისათვის საინტერესო თემებზე ისაუბრა.

- მიმდინარე წლის 5 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილების ორგანიზებით გაიმართა მოსწავლეთა 77-ე რესპუბლიკური სასწავლო - კვლევითი კონფერენციის საქალაქო - სარაიონო ონლაინ ტური, რომელშიც ჩაერთო ქალაქ გორის და გორის რაიონის საჯარო და კერძო სკოლის 50 - მდე მოსწავლე. წარმოდგენილი ნაშრომებიდან მდგრადი განვითარებისა და მისი 17 მიზნის შესაბამისად, შეირჩა და რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობის მისაღებად თბილისის ეროვნულ სასახლეში გაიგზავნა 26 თემა.

- 8 მარტს ანსამბლების გაერთიანება „ქართული სიმღერის“ წევრმა „თეატრალურმა კვარტეტმა“ სოლო კონცერტი გამართა ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების სააგენტოს დიდ საკონცერტო დარბაზში. ღონისძიება ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. „თეატრალურმა კვარტეტმა“ უკვე კარგად ნაცნობ და ჰიტებად ქცეულ ქართულ ქალაქურ სიმღერებთან ერთად ახალი შემოქმედებითი ნამუშევრებიც შესთავაზა მაყურებელს.

- ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილება წარმატებით მონაწილეობს წლის განმავლობაში გამართულ გორის მუნიციპალიტეტის მერიის და სხვა საქალაქო ღონისძიებებში.

  9 მარტს განყოფილების შემოქმედებითი წრეების პედაგოგებმა და თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა - გაყიდვაში.

- 15 მარტს კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების განყოფილების მცირე დარბაზში გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება „ქალი, როგორც დედა - სიცოცხლის საწყისი“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს გორის

რაიონში არსებულმა კულტურის ცენტრების მხატვრულ - შემოქმედებითი წრეების მოსწავლეებმა.

- 20 მარტს თოჯინების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩატარდა ღონისძიება „გორელი მეთოჯინეები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების თოჯინების თეატრმა სპექტაკლით „წითელქუდა“.

- ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილებამ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრთან ერთად 21 მარტს აღნიშნა დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე ღონისძიებით „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“. მოეწყო ფოტო სესია და გაიმართა კონცერტი განყოფილებასთან არსებული მხატვრულ-შემოქმედებითი წრეების აღსაზრდელებისა და ცენტრის ბენეფიციარი ბავშვების მონაწილეობით. ღონისძიების დასასრულს ცენტრის ბენეფიციარებს გადაეცათ ტკბილეული .

- 29 მარტს გორის კულტურის ცენტრში კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის ბენეფიციარებისათვის თოჯინების თეატრის სპექტაკლის ჩვენება გაიმართა. ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილებამ შშმ პირებს მცირე საკონცერტო დარბაზში უმასპინძლა.

- 5 აპრილს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელობით გაიმართა დედაენის დღისადმი მიძღვნილი კონკურსი „საუკეთესო მოქართულე“, რომლის მნიშვნელობა დღეისათვის განუზომლად დიდია ქართული ენისა და სალიტერატურო ნორმების დაცვის მიზნით. მასში გორის და გორის რაიონის საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელები მონაწილეობდნენ.

- 7 აპრილს კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების მცირე დარბაზში მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ლექცია თემაზე „ნარკომანია, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები“. ლექციას წარუძღვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ზურა სიხარულიძე.

- ქართული ენის დაცვის დღეს მიეძღვნა კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების ორგანიზებით განხორციელებული ღონისძიება, რომელიც რამდენიმე აქტივობას მოიცავდა, კერძოდ, ეს გახლდათ:
  ა) სწორმეტყველების განვითარება-ჩამოყალიბების მიზნით მხატვრული კითხვის კონკურსის ორი ტური სამ ასაკობრივ ჯგუფში: შესარჩევი ტური, რომელშიც გორის

მუნიციპალიტეტის 140 - მდე მოსწავლე იყო ჩართული და ფინალი, რომელშიც 33 მოსწავლე მონაწილეობდა. ფინალურ ტურში გამოვლინდა 3 – 3 გამარჯვებული კონკურსანტი და თითო ჟიურის სიმპათია სამივე ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით. გამარჯვებული მოსწავლეები და მათი პედაგოგები დაჯილდოვდნენ სააგენტოს სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით, სიგელები გადაეცათ, აგრეთვე, ფინალში მონაწილე მოსწავლეებსაც.

ბ) ქართული კალიგრაფიის, ხელით წერის კულტურის განვითარების მიზნით - ჩატარებული კალიგრაფიის გამოფენა - კონკურსი ორ ასაკობრივ ჯგუფში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 190 - მა მოსწავლემ. კომპეტენტური ჟიურის მიერ გამოვლინდა 3 გამარჯვებული კონკურსანტი და ერთი ჟიურის სიმპათია ორივე ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, რომელთაც გადაეცათ სააგენტოს სიგელები და ფასიანი საჩუქრები, ხოლო მათ პედაგოგებს მადლობის ფურცლები.

გ) ქართული ენისადმი მიძღვნილი კვირეული დაასრულა ლიტერატურულ - მუსიკალურმა კომპოზიციამ, რომელშიც გამარჯვებულ მოსწავლეებთან ერთად კონკურსის ჟიურიც მონაწილეობდა. ღონისძიებაზე გამარჯვებული მოსწავლეები და მათი პედაგოგები საზეიმოდ დაჯილდოვდნენ სააგენტოს სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

დ) კალიგრაფიის კონკურსის გამარჯვებული მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების ექსკურსია ქალაქ თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტსა და ეროვნულ მუზეუმში, რომელიც სექტემბრის თვეში იგეგმება.

- 22 აპრილს გაიმართა დედამიწის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ასფალტზე ხატვის კონკურსი „დედამიწა ჩვენი სახლია“, რომელშიც გორის მუნიციპალიტეტის 43 სკოლა ჩაერთო. თითოეული სკოლა წარმოდგენილი იყო 5 ბავშვისგან შემდგარი გუნდით, რომლებმაც შეასრულეს ბუნების დაცვისადმი მიძღვნილი ულამაზესი ნამუშევრები. ჟიურის მიერ გამოვლინდა 3 გამარჯვებული და ორი ნომინანტი სკოლა: „ორიგინალური ნამუშევარი“ და „ჟიურის სიმპათია“. გამარჯვებული და მონაწილე სკოლები დაჯილდოვდნენ სააგენტოს სიგელებით.

- 9 მაისს კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გამართულ გორის სახალხო გარბენში.

- 17 მაისს კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილება აქტიურად ჩაერთო გორის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გამართულ ღონისძიებაში, რომელიც მიეძღვნა ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს.

- 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ განხორციელებული შემეცნებითი აქტივობების შემდეგ (შეხვედრები და გაკვეთილები მოსწავლე - ახალგაზრდობასთან, არქეოლოგ ზვიად შერაზადაშვილის „არქეოლოგიის გაკვეთილები“, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო გამოფენა და ა. შ.) გაიმართა საზეიმო, ხალხური შემოქმედების კონცერტი ჩვენი განყოფილების ხალხური ცეკვის, სიმღერისა და ხალხური საკრავების წრეების აღსაზრდელთა მონაწილეობით.

  დასასრულს გაიმართა გორის პროფესიული კოლეჯ „განთიადის“ სამკერვალო საქმის გამოსაშვები სტუდენტების ნამუშევრების ჩვენება „ტრადიციული სამოსი თანამედროვე ელფერით“.

- 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ჩატარდა გრანდიოზული საზეიმო ღონისძიება, სადაც ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილების ორგანიზებით გაიმართა კონცერტი ქალაქის და განყოფილების შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით.
  ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი გორის რაიონის ქორეოგრაფიული წრეების მოსწავლეებიც.

- 31 მაისს ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების შემოქმედებითი წრეების აღსაზრდელები წარმატებით მონაწილეობდნენ ტურისტული სეზონის საზეიმო გახსნის ღონისძიებაში.

- მიმდინარე წლის 31 მაისს ჩატარდა კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება „ხელნაკეთი ნივთების გამოფენა - კონკურსი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქისა და რაიონის საჯარო და კერძო სკოლების 170 - მა მოსწავლემ. გამარჯვებული და ნომინანტი მოსწავლეები („ჟიურის სიმპათია“ და „საუკეთესო ნამუშევარი“) დაჯილდოვდნენ სააგენტოს სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო მონაწილეებს გადაეცათ მადლობის სიგელები.

- ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილება წარმატებით მონაწილეობდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საქალაქო ღონისძიებებში. ეს დღე სხვადასხვა სახის შემეცნებითი, კულტურული, გასართობი და სპორტული აქტივობებით აღინიშნა. განყოფილების ორგანიზებით გაიმართა საზეიმო

კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების და შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით.
ღონისძიებაში მონაწილებდნენ აგრეთვე სოფელ შინდისის, ბერშუეთის და ქვახვრელის საკლუბო წრეების მოსწავლეები.

- 11 ივნისს ჩატარდა მოსწავლეთა 77 - ე სასწავლო - კვლევითი კონფერენციის წარმატებულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა საზეიმო დაჯილდოების ღონისძიება.

  კონფერენციის ორი ტური ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, ხოლო მესამე ტური გაიმართა თბილისის ეროვნული სასახლის ეგიდით საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრიას სახელობის უნივერსიტეტში, სადაც შერჩეულ მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა წარედგინათ პრეზენტაციები და დაეცვათ თავიანთი ნაშრომები. მესამე ტურში მონაწილეობა ფაქტიურად გამარჯვების ტოლფასია, რადგან კონკურენცია ძალიან მაღალია და მოთხოვნები მკაცრი.

  მესამე ტურში მონაწილე და გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს სიგელები და ფასიანი საჩუქრები, საჩუქრები და მადლობის სიგელები გადაეცათ მათ პედაგოგებსაც.

- კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების ორგანიზებით ივნისისა და ივლისის თვეში განხორციელდა პროექტის „საზაფხულო სკოლა“ სამი ეტაპი, ორი ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში და ერთი - ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილებაში. პროექტმა მოსწავლეთა დიდი ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია.
  პროექტის მიზანია, მოზარდებისათვის ლოგიკური აზროვნების და საკომუნიკაციო უნარ - ჩვევების ჩამოყალიბების და ინტელექტუალური უნარების განვითარების ხელშეწყობა, წიგნებთან და კომპიუტერთან საპრეზენტაციო უნარების გამომუშავება.

  ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილებაში „საზაფხულო სკოლა“
  8 - 19 ივლისის მანძილზე ფუნქციონირებდა დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის.

  პროექტში ჩართულები იყვნენ როგორც განყოფილების თანამშრომლები, ასევე მოწვეული სპეციალისტები. პროექტში მონაწილეობდა 8 – 11 წლის 17 მოსწავლე, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ არაფორმალურ გარემოში მიეღოთ მონაწილეობა მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ არა ერთ შემეცნებით და გასართობ პროგრამაში, რომელიც ორი კვირის განმავლობაში განხორციელდა. ამ

ხნის მანძილზე თითოეული დღე დატვირთული იყო სახალისო აქტივობებით, რომლებიც ემსახურებოდა ბავშვების თვითგამოხატვის, გუნდურობის და ერთმანეთის მხარდაჭერის სწავლებას. საზაფხულო სკოლის მოსწავლეებს საზეიმოდ გადაეცათ მონაწილეობის სიგელები.

„საზაფხულო სკოლა“ ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრისათვისაც უკვე ტრადიციული პროექტია. წელს ცენტრმა ამ პროექტის ფარგლებში 24 ივნისიდან 18 ივლისის ჩათვლით ორ ნაკადად უმასპინძლა გორის მუნიციპალიტეტის 10 – 12 წლის მოზარდებს. მეცადინეობები მოიცავდა 2 საათს კვირაში ოთხი დღის მანძილზე.

- ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა ფსიქოლოგ თამარ შეწირულთან, რომელიც წარუძღვა ლექციას ახალგაზრდებისათვის მეტად აქტუალურ თემაზე: „არა ბულინგს!“. სტუმარმა პასუხი გასცა ახალგაზრდებისა და დამსწრე საზოგადოებისათვის საინტერესო შეკითხვებს. ღონისძიება განხორციელდა „ჩეინჯმეიკერების პროგრამის“ ფარგლებში, KidsRights - ის ფინანსური მხარდაჭერითა და ორგანიზაცია Umbrella - სთან პარტნიორობით.
- ამავე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალბატონი თამარის მეორე ლექციაც ასევე ახალგაზრდობისთვის საინერესო თემაზე „გენდერი და მასთან დაკავშირებული სტერეოტიპები“. შეხვედრას დაესწრნენ გორის მუნიციპალირეტის საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელები.
- აგვისტოს თვეში განყოფილების მხატვრულ-შემოქმედებითი წრეების აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს გიორგი კანდელაკის კრივის სკოლაში გამართულ დაჯილდოების საზეიმო ღონისძიებაში.
- კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილება მთელი შემადგენლობით ჩაერთო 13 ოქტომბერს ქალაქ გორის სახალხო დღესასწაულში „გორის დღე 2024“. განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების და შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით, ასევე,მოეწყო საბავშვო სივრცე, რომელსაც უამრავი პატარა სტუმრობდა. საბავშვო სივრცეს განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად და დამსწრეთა კმაყოფილება გამოიწვია.
- 27 ოქტომბერს განყოფილება აქტიურად ჩაერთო საზოგადო მოღვაწისა და მწერლის იაკობ გოგებაშვილის 184-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სახალხო დღესასწაულში. განყოფილების ორგანიზებით გაიმართა კონცერტი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით.

- 14-19 ნოემბერს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა კონკურსი გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების

უფროსკლასელთათვის „სიტყვის ძალა“, რომლის გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

- 2 დეკემბერს შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების და ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისკენ“ ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა გორის მოსწავლე ახალგაზრდებთან. ღონისძიებაზე გაიმართა ფილმის ჩვენება, რომელიც ეძღვნებოდა აივ შიდსის ინფექციას და მისი პრევენციის გზებს. სტუმრებმა ისაუბრეს შიდსისა და სხვა ინფექციური დაავადებების შესახებ, ასევე, ნარკოდამოკიდებულების დაძლევის გზებზე, დასასრულს კი შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

- 3 დეკემბერს ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების ორგანიზებით კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრთან ერთად გაიმართა ერთობლივი ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ღონისძიებამ თბილ და კეთილგანწყობილ გარემოში ჩაიარა.

- დეკემბრის თვე მთლიანად მიეძღვნა საახალწლო ღონისძიებებისათვის მზადებას, შესაბამისი აქსესუარებისა და ინვენტარის შეძენა - დამზადებას, საახალწლო წარმოდგენის დადგმას და ფოიეს მოწყობა- გალამაზებას.

❖ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ გორი“

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „გორი“ ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს. ანსამბლის სასახელოდ უნდა ითქვას,

რომ საკუთარი არაჩვეულებრივი შესრულებით არაერთი საქალაქო და განყოფილების ღონისძიება დაუმშვენებიათ.

ფუნქციონირებს ბიჭუნათა ფოლკლორული გუნდი და ქავერ ბენდი „SOFT WAVE", რომელიც მრავალფეროვან რეპერტუარს სთავაზობს მსმენელს და აქტიურად მონაწილეობს საქალაქო ღონისძიებებში, მაგალითად, „გორის დღე 2024". ბენდის წევრები ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობენ და მსმენელის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ხშირად ანახლებენ რეპერტუარს.

საწრეო მუშაობა

ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების სასწავლო პროგრამებში მიმდინარე წელს 170 - მდე მოზარდია ჩართული. განყოფილებაში არაფორმალური განათლების 13 წრე ფუნქციონირებს, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის სოფელებში: ფლავი, ბერშუეთი, ტინისხიდი, ატენი, კარალეთი, ბეთლემი, ქვახვრელი და ქიწნისი აქტიურად მუშაობენ როგორც საგნობრივი, ასევე შემოქმედებითი წრეები. წრეებში სწავლა უფასოა და უპირატესობა ენიჭებათ სოციალურად დაუცველ, დევნილ და სოფლად მცხოვრებ მოსწავლეებს. განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს მოსწავლეთა შორის ინგლისურის და რუსული ენების წრეები.
წრეები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მოსწავლეთა ასაკისა და შედეგზე ორიენტირებული საწრეო გეგმა - პროგრამების მიხედვით.

სასწავლო პროცესის პარალელურად წრეების აღსაზრდელები ჩართულნი არიან სხვადასხვა აქტივობებში, კონკურსებში, ღონისძიებებში, პერიოდულად ეწყობა ღია, საანგარიშო და შემაჯამებელი გაკვეთილები, ხორციელდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, კულტურული, არაფორმალური განათლების პროექტები, აქტივობები და კონკურსები. წრეების აღსაზრდელები წარმატებით მონაწილეობენ საქალაქო, სააგენტოს თუ განყოფილების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, ოლიმპიადებში, კონცერტებში, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ფესტივალებში:

ვოკალურ - ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფანტაზია"
(ხელმძღვანელი ნანა პავლიაშვილი)

- იანვრის თვეში საახალწლოდ გადაღებული ექვსი კლიპისაგან შემდგარი ვიდეო ზღაპრის პრეზენტაცია და საახალწლო ღონისძიებებში მონაწილეობა;
- 8 – 11 თებერვალი - ბორჯომ - ბაკურიანის საერთაშორისო ფესტივალი „ჰარირა“;
- 21 მარტი - მონაწილეობა კულტურისა და ახალგაზრდობის ცენტრის მიერ ორგანიზაბულ ღონისძიებაში „დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე“;
- 31 მარტი - თბილისის „Gold New Star” - ის ვოკალურ კონკურსში მონაწილეობა. უმცროსი ასაკის კატეგორიაში პირველი საპრიზო ადგილი, სპეციალური პრიზები და დიპლომანტების წოდებები;
- 8 მაისი - კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების მიერ ორგანიზებული სასკოლო შეჯიბრების მუსიკალური გაფორმება;
- 11 – 13 მაისი - საირმის საერთაშორისო ფესტივალში „საირმე 2024“ მონაწილეობა;
- 26 მაისი - მონაწილეობა საქალაქო ღონისძიებაში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა;
- 31 მაისი - მონაწილეობა შიდა ქართლის ტურისტული სეზონის გახსნის ცერემონიაში;
- 1 ივნისი - მონაწილეობა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საქალაქო ღონისძიებაში;
- 2 ივნისი - მონაწილეობა ქალაქ თილისში მთაწმინდის პარკში გამართულ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კონცერტში;
- 3 – 25 ივნისი - ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მუსიკალური საზოგადოების მიერ ორგანიზებულ, ხელოვნების საერთაშორისო ონლაინ კონკურსში მონაწილეობა. სხვადასხვა კატეგორიაში მიღწეული წარმატებები: ორი პირველი, ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი და ყველაზე დიდი ჯილდო - მიწვევა ლონდონში;
- 9 ივლისი - ანსამბლ „ფანტაზიას“ ორი საანგარიშო კონცერტი უმცროსი და უროსი ასაკის მოსწავლეებისათვის ქორეოგრაფიულ ანსამლ „ხევის“ და ცნობილი მომღერლების: ირაკლი ნოზაძის, გიორგი წიკლაურის, თამუნა მიქელაძის და ზურა ქევხიშვილის მონაწილეობით. წამყვანი - ბატონი ბესო ჩუბინიძე;
- 25 – 30 ივლისი - მონაწილეობა ქალაქ ქობულეთში გამართულ კონკურსში, „გრან - პრის“ წოდება და პრიზი, უაღრესად სასიხარულო მიწვევა 2025 წლის ლას - ვეგასის კონკურსზე და 2024 წლის სექტემბერში - საბერძნეთის ვოკალურ კონკურსზე.
- ვოკალის წრე და ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფანტაზია აქტიურადაა ჩართული თითქმის ყველა ღონისძიებაში, რაც კი ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილებას განუხორციელებია.
- აგვისტოს თვეში „ფანტაზიელები“ მონაწილეობდნენ ქობულეთის საეთაშორისო ფესტივალში, სადაც მათ გამოსვლას დიდი მოწონება ხვდა წილად და მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურეს;

- წრის აღსაზრდელები წარმატებულადმონაწილეობდნენ, ასევე, საქალაქო ღონისძიებებში „გორის დღე“, „იაკობობა 2024“ და „თბილისობისადმი“ მიძღვნილ ფესტივალში ოქტომბრის თვეში.
- ნოემბრის თვეში მიწვეულნი იყვნენ საგარეჯოს ფესტივალზე, სადაც დიპლომები და სიგელები დაიმსახურეს.

სამეჯლისო - სპორტული ცეკვების წრე
(ხელმძღვანელი ია თავაძე)

- მონაწილეობა ქალაქ თბილისში გამართულ კონკურსებში: „ თელას თასი 2024“ და „არტ - დენსის თასი“;
- მონაწილეობა საქართველოს ღია ჩემპიონატზე;
- მონაწილეობა თურქეთის რესპუბლიკაში გამართულ სამეჯლისო - სპორტული ცეკვის საერთაშორისო ფესტივალში;
- მონაწილეობა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საქალაქო ღონისძიებაში;
- „გლორია ფემილის“ შემაჯამებელი ღონისძიება - უმცროსი და უფროსი ასაკის მოსწავლეების ორი კონცერტი;
- ქალაქ ქობულეთის საერთაშორისო ფესტივალი და მიღწეული წარმატებები:
  უმცროს ასაკში - ორ ასაკობრივ კატეგორიაში 6 - დან 9 წლამდე და 9 - დან 12 წლამდე - I, II და III ხარისხის დიპლომები;
  უფროს ასაკში - 12 - დან 16 წლამდე - სამი- I საპრიზო ადგილი, ოთხი II და სამი III საპრიზო ადგილი.

ნაყოფიერად მუშაობს სამეჯლისო-სპორტული ცეკვების შემსწავლელი წრე და ანსამბლი „გლორია“.

2024 წლის 13 ოქტომბერს წრის მოსწავლეებმა და ანსამბლის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს „გორის დღისადმი„ მიძღვნილ კონცერტზე, ხოლო 25 დეკემბერს მათი მონაწილეობით შედგა ულამაზესი საღამო - საახალწლო ზღაპრის ჩვენება, რომელმაც მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია.

სიმღერისა და ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ქართლელები“
(ხელმძღვანელი ვანო ზუბიაშვილი)

ქართული ხალხური საკრავების და სიმღერის წრისათვის მიმდინარე წლის ზემოთ აღნიშნული პერიოდი იყო საკმაოდ წარმატებული, წრის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მასშტაბით გამართულ ღონისძიებებსა და ფესტივალებში, რომლებზეც ანსამბლი მაყურებლის წინაშე წარმატებით წარსდგა:

- 27 იანვარს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისში, სასტუმრო „ ბალტიმორის“ საკონცერტო დარბაზში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალში;
- 24 მარტს ანსამბლი მონაწილეობდა ქალაქ თბილისის სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ ფესტივალში;
- 18 მაისს - მონაწილეობა მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში;
- 26 მაისს - მონაწილეობა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საქალაქო ღონისძიებაში.
    - 5 – 10 აგვისტო ქალაქ ბათუმში გამართული ფესტივალი, სადაც გრან - პრი დაიმსახურეს;
    - 27 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღეს ქალაქ გურჯაანში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალში, სადაც პირველი ადგილი დაიკავეს და დიპლომები და მედლები მოიპოვეს;
    - 27 დეკემბერს ბორჯომის კულტურის ცენტრში გამართულ ფესტივალში მონაწილეობისა და გამარჯვებისათვის „გრან-პრი“ გადაეცათ.

კლასიკური გიტარის შემსწავლელი წრე
(პედაგოგი თამარ გიუნაშვილი)

კლასიკური გიტარის შემსწავლელი წრე გამოირჩევა წარმატებული შემოქმედებითი საქმიანობით. წრის აღსაზრდელები მონაწილეობენ ყველა საქალაქო, სააგენტოს თუ განყოფილების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, პოეზიის საღამოებსა და ბიბლიოთეკებში გამართულ შეხვედრებში ცნობილ ადამიანებთან.

- 7 ივლისს ქალაქ თბილისში გაიმართა კლასიკური გიტარის კონგრესის გამარჯვებულთა დაჯილდოება, რომლის ერთ - ერთი გამარჯვებული თამარ გიუნაშვილიც გახდა. პედაგოგს ჯილდო ნომინაციაში „საქართველოში 2025 წლამდე, რევაზ ლაღიძის მუსიკალური კომპოზიციების საუკეთესო ქალი შემსრულებლის“ ტიტული გადაეცა;
- 28 მარტს ქალაქ ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კლასიკური მუსიკის მე - 17 ეროვნული კონკურს - ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“, რომელშიც წრის წევრები წარმატებულად მონაწილეობდნენ;
- 13 მაისს წრის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს და მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს ზაქარია კაკალაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კლასიკური გიტარის საღამოში.

- 2 ოქტომბერს მონაწილეობდნენ ქ. თბილისში კლასიკური გიტარის სიმპოზიუმზე. მოსწავლეებს გადაეცათ სიგელი ფრანცისკო ტარეგას ნაწარმოებების საუკეთესო შესრულებისათვის.
- 18 ნოემბერს მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისში გამართულ კლასიკური გიტარის კონკურსზე. კომპოზიტორ აბრეუს ნაწარმოებების საუკეთესოდ შესრულებისთვის მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები და საჩუქრები.
- 21 ნოემბერს წრის აღსაზრელებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. გორში გამართულ მწერლების საღამოზე. მწერალთა კავშირის თავჯდიმარემ, მაყვალა გონაშვილმა, წრის მოსწავლეები დააჯილდოვა სიგელებით და გადაეცათ სამახსოვრო საავტორო კრებულები. პედაგოგს თამარ კარიჭაშვილს, გადაეცა ქეთევან დედოფლის ენდალმა და მედალი.
- 25 დეკემბერს აქტიურად ჩაერთნენ ქ. თბილისში გამართულ გიტარისტთა კონკურსში. გასპარ სანზისა და დე ფალიას ნაწარმოებების საუკეთესო შემსრულებლად დასახელდა წრის აღსაზრდელი - ანა ელბაქიძე, მას გადაეცა დიპლომი.
- 31 დეკემბერს გიტარის კლასის პედაგოგს, თამარ კარიჭაშვილს, კლასიკური გიტარის კონგრესის N240 დადგენილებით, მიენიჭა წლის საუკეთესო კლასიკური გიტარისტის წოდება შიდა ქართლის მასშტაბით.

საქალაქო და სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი კულტურისა და ახალგაზრდობის სხვა წრეებიც, როგორიცაა: ვოკალის წრე (ხელმძღვანელი ქეთევან ქუმსიაშვილი),

წელს ყველა საქალაქო, სააგენტოს თუ განყოფილების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობასთან ერთად, მოამზადა და დადგა ულამაზესი საახალწლო წარმოდგენა „სიზმარა“.

ქართული ხალხური ცეკვის წრე (ხელმძღვანელი ზურა ბერიძე) და დოლებისა და ტამტამების წრე (ხელმძღვანელი გოჩა ჯანეზაშვილი), ასევე განყოფილებასთან არსებული ანსამბლი „გორი“ და თოჯინების თეატრი.

რაც შეეხება გორის მუნიციპალიტეტის სოფლების კულტურული ცენტრების მხატვრული წრეების შემოქმედებით საქმიანობას, მათი აღსაზრდელები აქტიურად და წარმატებულად მონაწილეობებდნენ ისეთ საქალაქო ღონისძიებებში, როგორიცაა: ბავშვთა დაცვისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტები, კულტურისა და ახალგაზრდობის მიერ ორგანიზებული, დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ქალი, როგორც დედა - სიცოცხლის საწყისი“, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა - კონკურსი და სხვა.

- 11 იანვარს სოფელ შინდისის კულტურის ცენტრის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს შინდისის საჯარო სკოლაში გამართულ საქველმოქმედო ღონისძიებაში „სიკეთე გადამდებია“;
- 23 იანვარს ნიქოზის კულტურის ცენტრის მხატვრული კითხვის წრის ორგანიზებით ჩატარდა პოეზიის საღამო, სადაც მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართველი კლასიკოსების ლექსები;
- 5 მარტს ნიქოზის კულტურის სახლში ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ქალი, სიცოცხლე და გაზაფხული“;
- 5 მარტს ბეთლემის კულტურის ცენტრში მოეწყო მოსწავლეთა ნახატების გამოფენა;
- 10 მარტს ატენის კულტურის ცენტრის ცეკვის წრის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ მცხეთის კულტურის ცენტრში გამართულ საგაზაფხულო ფესტივალზე და დაჯილდოვდნენ სიგელებით;
- 21 მარტს სოფელ ბეთლემის კულტურის ცენტრში გაიმართა დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 9 აპრილს ნიქოზის კულტურის ცენტრში მხატვრული კითხვის წრის მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა 9 აპრილისადმი მიძღვნილი რექვიემი.
- ატენის ცეკვის წრის მოსწალეებმა 26 დეკემბერს მიიღეს მონაწილეობა ქალაქ მცხეთაში გამართულ ქორეორაფიულ ფესტივალში, სადაც მოხდა მოსწავლეების დაჯილდოება დიპლომებით და სიგელებით.
- სოფელ ქვახვრელში 15 დეკემბერს ჩატარდა ხატვის წრის საახალწლო გამოფენა.
- 14 ნოემბერს სოფელ კარალეთში ჩატარდა ჭრა-კერვის წრის ღია გაკვეთილი.
- 16 სექტემბერს სოფელ შინდისში საგუნდო სიმღერის წრის მოსწავლებმა მონაწილეობა მიიღეს შინდისის საჯარო სკოლის ღონისძიებაში.
- სოფელ ტინისხიდის ფოლკლორის წრის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 27 დეკემბერს ჩატარებულ საახალწლო სასკოლო ღონისძიებაში.
- 16 სექტემბერს ბერშუეთის საჯარო სკოლაში ჩატარდა სიმღერის წრის მოსწავლეთა შემოქმედებითი კონცერტი.
- 13 ოქტომბერს გორის დღეებზე სოფელ ქვახვრელის ხატვის წრის მოსწავლეებმა აქტიური მონაწილება მიიღეს, დეკემბერში კი ჩაატარეს სააწალწლო გამოფენა
- სოფელ ბეთლემის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცემტრში 16 სექტემბერს სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებისთ გაიმართა კონერტი სიმღერის წრის მოსწავლეთა მონაწილებით.

- 3 ოქტომბერს ჩატარდა ღონისძიება „სკრის ხეობის წარმატებულ სპორტსმენთა შეხვედრა“ ბეთლემის სიმღერის წრის მოსწავლეთა მონაწილეობით, ასევე 27 დეკემბერს ჩატარდა საახალწლო კონცერტი.
- 6 იანვარს სოფელ ნიქოზის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა საახალწლო ღონისძიება ნიქოზის მხატვრული კითხვის წრის მოსწავლეთა მონაწილეობით.

ამ პერიოდში მოხდა ზემოთ აღნიშნული წრეების ფუნქციონირების განახლება, მოსწავლეთა მიღება-ჩარიცხვა წრეებში. შედგენილია მოსწავლეთა ბაზები, სამეცადინო ცხრილები და სასწავლო პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია სააგენტოს დირექტორის მიერ.

დაგეგმილი გვაქვს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და გაკვეთილებზე დასწრება.

რაიონის ყველა კულტურის ცენტრის საგანმანათლებლო თუ მხატვრულ - შემოქმედებითმა წრემ ჩაატარა ღია გაკვეთილი, რომელსაც ესწრებოდნენ კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების წარმომადგენლები.

იანვრიდან ივლისის ჩათვლით რაიონის ყველა კულტურის ცენტრის საგანმანათლებლო თუ მხატვრულ - შემოქმედებითმა წრემ ჩაატარა ღია გაკვეთილი, რომელსაც ესწრებოდნენ კულტურისა და ახალგაზრდობის განყოფილების წარმომადგენლები.

❖ ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის საქმიანობა

ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი ფუნქციონირებს ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილების დაქვემდებარებაში. მის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი ბავშვები. მათთვის ცენტრის თანამშრომლები ატარებენ შეხვედრებს სხვადასხვა თემატიკაზე, სემინარებს, კონკურსებს, გასვლით ღონისძიებებს, ფილმების ჩვენებებს, დისკუსიებს და ა. შ. ცენტრში განხორციელებული პროექტები, როგორიცაა „საზაფხულო სკოლა“ და „საუკეთესო მოქართულე“ ხელს უწყობს მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას და უდიდესი ინტერესით სარგებლობს მოსწავლე-ახალგაზრდებში. ცენტრი აქტიურად იყო ჩართული სახალხო დღესასწაულში „გორის დღე 2024“.

ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლის ანგარიში

სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო , საორკესტრო (გიტარა, ვიოლინო, ფლეიტა,) თეორიული, სოლო სიმღერა და საგუნდო განყოფილებები.

2024 წლის იანვრის თვეში დამტკიცდა მეორე სემესტრის სამუშაო და ინდივიდუალური გეგმები, გადამოწმდა პედაგოგთა დატვირთვები, სამეცადინო ცხრილები. გეგმის მიხედვით ტარდებოდა საგნობრივი კომისიის სხდომები, ხდებოდა გაკვეთილებზე დასწრება , ტარდებოდა პედსაბჭოს სხდომები სასწავლო გეგმიტ გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ.

1. 28.03.2024 - ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-17 ეროვნული კონკურსის ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“ I ტური. მონაწილეობდა საფორტეპიანო განყოფილების 4 მოსწავლე, სკოლის გუნდი თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით და გიტარისტთა ტრიო.
2. 01.04.2024 - სკოლის გოგონათა გუნდმა ხელმძღვანელი თეონა ცირამუა მიიღო მონაწილეობა აუტიზმის დღესთან დაკავშირებულ კონცერტში , თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში.
3. 07.04.2024 - ჩატარდა კლასიკუირი გიტარის 83-ე კონგრესი სადაც მონაწილეობა მიიღო პედ. თ. კარჭაშვილის მოსწავლემ.
4. 18.04.2024 - ჩატარდა საგუნდო მუსიკის XIV საერთაშორისო ფესტივალი . თბილისის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში. მონაწილეობა მიიღო სკოლის გუნდმა თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით . გადაეცათ საპატიო სიგელი.
5. 21.04.2024 - თბილისის ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში ჩატარდა კონკურსი „მომავლის ვარსკვლავების“ მონაწილეობა მიიღო სკოლის ორმა მოსწავლემ.
6. 27.04.2024 - ხაშურის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა გალა კონცერტი კონკურსის „მომავლის ვარსკვლავები“ მონაწილეობდა სკოლის გუნდი და გიტარისთა ტრიო.
7. 28.04.2024 - ჩატარდა კონკურს- ფესტივალი „ჰარიდა“ ხობში. მონაწილეობდა სკოლის სამი გიტარისტი და გიტარისტთა ტრიო.
8. 29.04.2024 მონაწილეობა მივიღეთ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალის დასკვნით საღამოზე.

9. 04.05.2024 - სკოლის ბავშვთა გუნდმა თ. ცირამუას ღელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო აზიის ქვეყნების ფორუმზე.
10. 11.05.2024 ჩატარდა კონკურს- ფესტივალი (რონდო კლასიკა) მონაწილეობდა სკოლის 8 მოსწავლე.
11. 12.05.2024 -სკოლის გუნდმა გამართა გასვლითი კონცერტი ნიქოზში მეუფე ისაიას მიწვევით და დალოცვით.
12. 13.05.2024 - ჩატარდა საორკესტრო განყოფილების (გიტარის კლასი) კონცერტი ზაქარია კაკალაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი .
13. 25.05.2024 - ჩატარდა მასტერ კლასი ხელმძღ. თბილისის კონსერვატორიის პედ. ნათია ქავთარაძე. ცისანა დოლიძე და ეკა მეტრეველი. მონაწილეობა მიიღო 8 მოსწავლემ.
14. 26.05.2024 - ბავშვთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძწვნილ კონცერტში.
15. 31.05.2024 - ჩატარდა სკოლის საანგარიშო კონცერტი.
16. 01.06.2024 - ჩატარდა სკოლის პირველკლასელ მოსწავლეტა კონცერტი. (ორ განყოფილებად)
17. 09.06.2024 - ჩატარდა კულტურის სამინისტროს მიერ წარდგენილი პროექტი საქართველოს რეგიონების სახელოვნებო სასწავლებლების XIII კონკურსი ნინო ჭელიძის სახელობის.
18. 11.06.2024 - ჩატარდა თემატური საღამო „იუბილარი კომპოზიტორები“ ხელმძღვანელი პედ. ნ. ლობჟანიძე .
19. 12.06.2024 -ჩატარდა სკოლის მეორე საანგარიშო კონცერტი.
20. 14.06.2024 - ჩატარდა გალა კონცერტი (რონდო კლასიკი) თბილისის მერაბ ბერძენიშვილის ცენტრ „მუზაში“ მონაწიეობდა 2 მოსწავლე.
21. 17.06.2024 - დავესწარით პიანისტ ვატო ჟორდანიას კონცერტს სამუსიკო კოლეჯში.
22. 22.06.2024 -საქართველოს რეგიონების მე-13 კონკურსის კონცერტი ეროვნულ ბიბლიოთეკაში . მონაწილეობდა 5 მოსწავლე.
23. 29.06.2024 - დავესწარით ქართული კლასიკური მუსიკის კონცერტს სამუსიკო კოლეჯში.
24. 22.07.2024 სკოლის გუნდის ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში „ვინ ვინ არის“.
25. 13 ოქტომბერი - გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა შიდა ქართლის რეგიონების სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეთა მოსმენა-კონცერტი, სადაც მონაწიელობა მიიღო გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეებმა. შიდა ქართლში შეირჩა გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლის VIII კლასის მოსწავლე გიორგი ხუბულოვი - პედაგოგი მარიკა კოშაძე. გიორგი სრული დაფინანსებით ისწავლის „თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მანანა დოიჯაშვილის სახელობის სამუსიკო სემინარიასა“ და სკოლაში „ჩვენი სკოლა“.

26. 8-10 ნოემბერს ქალაქ ვენაში (ავსტრია) გაიმართა „XIX ART DUO საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი და კონკურსი“ ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის, სადაც მონაწილეობა მიიღეს გორის ვანო მურადელის სახელობის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეებმა:
ანა ქებაძე - II კატეგორიაში მოიპოვა I ადგილი - პედაგოგი ქეთევან გრძელიშვილი;
ანა სტეფანაშვილი III კატეგორიაში მოიპოვა II ადგილი - პედაგოგი ლამარა ბარამიძე;
მარიამ ნუკრაძე III კატეგორიაში მოიპოვა II ადგილი - პედაგოგი ქეთევან ჯანდიერი.

27. 20 ნოემბერს გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა მწერალთა კავშირის მიერ ორგანიზებული საღამო. სტუმრებს წარმოადგენდენენ:
    საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ქალბატონი მაყვალა გონაშვილი;
    თანათავმჯდომარეები: ბატონი ბაღათურ არაბული და ბადრი ქუთათელაძე;
    შიდა ქართლში მოღვაწე მწერლები.
    საღამო მუსიკალურად გააფორმეს გორი ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა.

28. 14 დეკემბერს ჩატარდა კონკურსი ეტიუდებში გორის ვანო მურადელის სახელობის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეებისთვის.

29. 19 დეკემბერს გაიმართა მოსწვლეთა მოსმენა საშობაო კონცერტისათვის.

30. 25 დეკემბერს გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართება მოსწავლეთა საშობაო კონცერტი.

ხელთუბნის სამუსიკო სკოლა

1.საშობაო კონცერტი-ნორჩი პიანისტების სიმებიანი კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით./15.01.2024/

2.კონკურსი გამებში /.01.03.2024 / 02.03.2024

3.თბილისში ფოლკლორის კონკურსში მონაწილეობის მიღება. 09.03.2024

4.კონკურსი ეტიუდებში 30.03.2024

5.კონკურსი პიესებში 27.04.2024

6.სიმებიან საკრავთა და ფოლკლორის ჯგუფის საანგარიშო კონცერტი.11.05.2024

8.1 კლასის საზეიიმო კონცერტი 31.05.2024

8.მე 4 კლასის მოსწავლის ირაკლი ქარუმიძის სოლო კონცერტი 12.06.2024

9. 13. ოქტომბერი - გორის ვანო მურადელის სახ. სამუსიკო სკოლაში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს ხელთუბნის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა.

10. 27,11 - კონკურსი გამებსა და ეტიუდებში, კონკურსი „პიესებში“

11. 24.12 – 26. 12 - საახალწლო ღონისძიებები კონცერტები.

სკრის სამუსიკო სკოლა

იანვრის თვეში სკოლაში ირიცხებოდა 81 მოსწავლე. მაისის თვემდე პერიოდში განთესვა არ ყოფილა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 81 მოსწავლეს. გათვალისწინებული გეგმის მიხედვით ჩატარდა :

ჩათვლები და დახურული კონცერტები, აგრეთვე ჩატარდა ღია საახალწლო კონცერტი ჩატარდა სოლფეჯიოსა და კარნახის საუკეთესო ჩაწერაში მეორედან მეექვსე კლასების ჩათვლით, აგრეთვე ჩატარდა კონკურსი აპრილის თვეში ეტიუდების საუკეთესო შესრულებაში მეორედან მეხუთე კლასის ჩათვლით მოსწავლეებში. ყველა ჩატარებული კონცერტი ეწყობა სკოლის კოლექტივის და მშობელთა აქტიური ჩართულობით.

მაისის თვეში ჩატარდა ღია კონცერტიგორის #1 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში შემდეგი პედაგოგების მოსწავლეთა მონაწილეობით: ია ჯავახიშვილის,ალინა ფალერაშვილის და მაია რამაზაშვილის მოსწავლეთა მონაწილეობით.

ივნისის თვეში დამტკიცებული ცხრილის მიხედვით ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები ყველა საგანში, ხოლო მეოთხე კლასში ჩატარდა გამოცდა ფორტეპიანოში. სკოლის დანარჩენ კლასებში ჩატარდა საკონტროლო მოსმენები წინასწარ დაგეგმილი განრიგის მიხედვით.

14 ივნისს ჩატარდა ღია საანგარიშო კონცერტი.

1 ოქტომბრის თვეში ჩატარდა მასწავლებლების დჭისადმი მიძღვნილი ჭია კონცწერტი

24 დეკემბერს ჩატარდა საშობაო კონცერტი სკოლის მოსწავლეტა ძალებით

ტირძნისის სამუსიკო სკოლა

ტირძნისის სამუსიკო სკოლას სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეების მოტივაციის და სწავლება-სწავლის ხარისხის გაზრდის მიზნით, დაგეგმილი ჰქონდა ეტიუდების კონკურსი, კონკურსი ფურცლიდან კითხვაში, კონკურსი კარნახში, და საანგარიშო კონცერტი და კოლექტიური დასწრება კლასიკური მუსიკის საღამოზე. მოცემული ღონისძიებები სამუსიკო სკოლამ წარმატებით განახორციელა, ხელისშემშლელი გარემოებები არ ყოფილა და მოსწავლეებმაც ხალისით მიიღეს მონაწლეობა, გამოვლინდა გამარჯვებული მოსწავლეები.

ტირძნისის სამუსიკო სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ტოროლა," მონაწილეობა მიიღო ღონისძიებებში: „კახის კლუბის" საინფორმაციო შეხვედრა ტირძნისის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, „ღამე მუზეუმში," კონკურს-ფესტივალში „ქორეოექო," ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

ტირძნისის სამუსიკო სკოლამ ივნისის თვეში ჩაატარა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები. მოსწავლეებმა წარმატებით ჩააბარეს საგამოცდო პროგრამა და დასძლიეს სამუსიკო სკოლის სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღნიშნულის შესახებ დოკუმენტაცია მომზადებულია და განთავსებულია სათანადო

ფაილებში. გეგმის მიხედვით ჩავატარეთ პედაგოგიური საბჭოს სხდომები და განვსაზღვრეთ მომავალი სასწავლო წლის გეგმები და ამოცანები.

ტირძნისის სამუსიკო სკოლამ 2024/25 სასწავლო წლის პირველი სემესტრი აქტიურ რეჟიმში დაიწყო, კერძოდ, ჩატარდა მისაღები გამოცდები და გადანაწილდა პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა და დადგინდა სასწავლო-სამეცადინო ცხრილი. განისაზღვრა წლიური სამუშაო გეგმა ფორტეპიანოსა და თეორიულ საგნებში. ტირძნისის სამუსიკო სკოლას, მოსწავლეების მოტივაციის და სწავლება-სწავლის ხარისხის გაზრდის მიზნით, დაგეგმილი ჰქონდა ეტიუდების კონკურსი, კონკურსი ფურცლიდან კითხვაში, კონკურსი დიეზიანი გამების შესრულებაში და საანგარიშო კონცერტი. მოცემული ღონისძიებები სამუსიკო სკოლამ წარმატებით განახორციელა, დარჩენილია მხოლოდ საანგარიშო კონცერტი, რომელიც დეკემბრის ბოლოს არის დაგეგმილი.

პარალელურად, სამუსიკო სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო გორის დღეების აღსანიშნავ ღონისძიებაზე და იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო ღონისძიებაზე ვარიანში.

წლის განმავლობაში დაგეგმილი ყველა პედსაბჭო ჩატარებულია, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. საგამოცდო შედეგები ასახულია შესაბამის დოკუმენტაციაში და პედაგოგები აქტიურად აწარმოებენ საკლასო ჟურნალებს.

ტყვიავის სამუსიკო სკოლა

ტყვიავის სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო განყოფილება. ემსახურება მოსწავლეთათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიღებას და მოიცავს 6 წელს. (I-VI),.

2024 წლის იანვრის თვეში დამტკიცდა მეორე სემესტრის სამუშაო და ინდივიდუალური გეგმები, გადამოწმდა პედაგოგთა დატვირთვები, სამეცადინო ცხრილები. გეგმის მიხედვით ტარდებოდა საგნობრივი კომისიის სხდომები, ხდებოდა გაკვეთილებზე დასწრება , ტარდებოდა პედსაბჭოს სხდომები სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ.

2 მარტს ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი მოსწავლეთა ძალებით.

19 აპრილს ჩატარდა კონკურსი სოლფეჯიოშიო „ ფურცლიდან კითხვა“ III,IV,V კლასებში.

26 აპრილს ჩატარდა კონკურსი ფორტეპიანოში „ეტიუდის საუკეთესო შემსრულებელი“

(II,III,IV,V კლასებში).

10 მაისს ჩატარდა კონკურსი სოლფეჯიოში „კარნახის საუკეთესო ჩაწერაზე“.

კონკურსებში გამარჯვებული და მონაწილე მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

23 მაისს ჩატარდა თემატური საღამო „სონატური ფორმა“ შესრულდა ვენის კლასიკოსთა ნაწარმოებები.

30 მაისს ჩატარდა პედაგოგების ეთერ ჩიხლაძის და მაკა ჯაშაშვილის კლასის მოსწავლეთა კონცერტები.

1 ივნისს ჩატარდა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი მოსწავლეთა ძალებით.

3 ივნისს ჩატარდა პირველკლასელ მოსწავლეთა კონცერტი.

25 ივნისს ჩატარდა საანგარიშო კონცერტი სკოლის მოსწავლეთა გუნდის, ფოლკლორული ანსამბლის და საუკეთესო, მოწინავე მოსწავლეთა მონაწეილეობით.

1. 2024-25 სასწავლო წლის 1 სემესტრში ტარდებოდა საკონტროლო და ღია გაკვეთილი.
2. 13 ოქტომბერი გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა შიდა ქართლის რეგიონების სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეტა მოსმენა -კონცერტი , სადაც მონაწილეობა მიიღო ტყვიავის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების ერთმა მოსწავლემ.
3. ნოემბრის თვეში ჩატარდა ტექნიკური ჩათვლები ეტიუდებსა და გამებში.
4. 19-20 დეკემბერს ჩატარდა სემესტრული ჩათვლები ფრორტეპიანოში II და V კლასის ჩათვლით.
5. 23 დეკემბერს ჩატარდა პედ. ე. ჩიხლაძის კლასის კონცერტი
6. 24 დეკემბერს ჩატარდა საშობაო კონცერტი სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით.

ატენის სამუსიკო სკოლა

1.იანვარის თვეში - ბახის საღამო პედ.ი.ღოლიჯაშვილის კლასი

2. თებერვალში-I კლასის და VI კლასის მოსმენა

3.მარტში დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება,მუს.ვიქტორინა მუს.ლიტერატურაში IV-V კლასებში.კონკურსი ეტიუდებში III-IV-V კლასებში;

4.აპრილში-ჩათვლები ანსამბლში III-V კლასებში,კონკურსი ბემოლიან გამებში;

გუნდის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე მონაწილეობა;

5. მაისში- დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

კონკურსი კარნახში III- IV-V კლასებში

6.ივნისში-კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები;

გამოსაშვები კლასის გამოცდები; ფორტეპიანოში,სოლფეჯიოსა და მუს ლიტერატურაში;

საანგარიშო კონცერტი;

18 სექტემებრს ჩატარდა მისაღები გამოცდა; პირველ კლასში ჩაირიცხა 15 მოსწავლე,მეორე კლასში 4 მოსწავლე;

22 ოქტომბერს შედგა უმცროსკლასელთა.გაერთიანებული გუნდის ღონისძიება,,ყვითელი ფოთლები''.

20 ნოემბერს ჩატარდა კონკურსი ეტიუდებში III-IV-V კლასებში;

17 დეკემბრიდან ტარდება ჩათვლები კლასების მიხედვით ფორტეპიანოში.

25 დეკემბერს გვქონდა საშობაო ღონისძიება,სადაც საფორტეპიანო ნომრებთან ერთად მღეროდა სკოლის გაერთიანეული გუნდი;

კ. მეღვინეთუხუცესის სახელობის ხიდისთავის სკოლა

1. სამუსიკო განყოფილების მოსწავლეთა გაერთიანებული გუნდის შემოწმება /იანვარი/

2. ყველა განყოფილების პირველი კლასის მოსწავლეთა შემოწმება /იანვარი/
3. სამუსიკო განყოფილების მეექვსე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა მონიტორინგი /თებერვალი/
4. სკოლის ახალგაზრდა პედაგოგებისათვის მეთოდური დახმარების გაწევა რეგულარულად.
5. სამუსიკო განყოფილების მოსწავლეთა შიდა სასკოლო კონკურსი კარნახებში V-VI კლასებში /თებერვალი/
6. სამუსიკო განყოფილების პედაგოგთა ინდივიდუალური კონცერტები, რეგულარულად.
7. დედის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო და კონცერტი. /მარტი/
8. სამუსიკო განყოფილების მოსწავლეთა კონკურსი ეტიუდებში/აპრილი/
9. დიდი ქართველი კომპოზიტორის პროფესორ კ. მეღვინეთუხუცესისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო „მეღვინეთუხუცესობა“ /აპრილი/
10. გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადება და შესაბამისი მონიტორინგი /მაისი/
11. სკოლის სოლო სიმღერის განყოფილების მოსწავლეთა პერიოდული კონცერტები სკოლაში და სკოლის გარეთ რეგულარულად.
12. სკოლის თითოეული განყოფილების შემაჯამებელი შემოწმება /მაისი/
13. სკოლის სახვითი ხელოვნების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები სკოლაში და სკოლის გარეთ სხვადასხვა სივრცეში, რეგულარულად.
14. გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარება ყველა განყოფილების მიხედვით /ივნისი/
15. 2023-24 სასწავლო წლის დამაგვირგვინებელი საანგარიშო გალა კონცერტის ჩატარება და სახვითი ხელოვნების განყოფიებისწ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა სასწ. წლის დასარულისათვის /ივნისი/
16. მ/სასწავლო წლის მანძილზე გაწეული მუშაობის საერთო შემაჯამებელი განხილვა და ანგარიში /ივლისი/.
17. სექტემბერი - მისაღები გამოცდების შედეგად მოხდა მოსწავლეთა გადანაწილება პედაგოგების მიხედვით.
18. სექტემბერი - შედგა ტარიფიკაციები განყოფილების მიხედით 2024-25 სასწ. წლისათვის.
19. ოქტომბერი - დამტკიცდა ინდივიდუალური და სამუშაო გეგმები თითოეული განყოფილების მიხედვით.
20. ოქტომბერი - შედგა პედაგოგების სამუშაო ცხრილები განყოფილებების მიხედვით.
21. ოქტომბერი - სკოლის სოლო სიმღერისა და სახვითი ხელოვნების განყოფილებამ წარმატებით მიიღო მონაწილ;ეობა სახალხო ზეიმზე „გორობა“
22. ნოემბერი - ჩატარდა შიდა სასკოლო ღონისძიება საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეების მიერ კლასების მიხედვით.
23. დეკემბერი - სოლო სიმღერის განყოფილების მოსწავლეები მიწვეულნი იქნენ ქართუ ლი ფოლკლორის განვითარების ეროვნული ცენტრი „გრაალი“ -ს საზეიმო კონცერტზე.
24. დეკემბერი - ჩატარებული იქნა საზხვითი ხელოვნების განყოფილების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა სემესტრის ბოლოსათვის , სკოლის სახვითი ხელოვნების აუდიტორიაში.
25. დეკემბერი - სემესტრის დასასრულს სკოლის სააქტო დარბაზში შედგა მოსწავლეთა გაერთიანებული წინა საახალწლო გალა კონცერტი.

ანა ფერაძის სახელობის გორის სამხატვრო სკოლა

გასულ სასწავლო წელთან შედარებით, მოსწავლეთა კონტიგენტი გაიზარდა და დღეის მდგომარეობით სამხატვრო სკოლაში ირიცხება 395 მოსწავლე.

სასწავლო პროცესის პარალელურად, ხორციელდება წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები, სკოლის საგამოფენო დარბაზში ხშირად ეწყობა გამოფენები. სამხატვრო სკოლის მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხა საქალაქო ღონისძიებებში.

პირველი სემესტრის ბოლოს მოეწყო პირველი კლასიდან მეექვსე კლასის ჩათვლით

მოსწავლეების მიერ შესრულებილი ნამუშევრების გამოფენა.

- 26 მაისს,საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ,ქალაქის, მთავარ მოედანზე მოეწყო გასული წლებში კურსდამთავრებულების
- სადიპლომო ნამუშევრებ გამოფენა.
- 1 ივნისს ბავშვთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით სკოლის

მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა ქალაქის მიერ მოწყობილ ღონისძიებაში

(სახე მოუხატეს ღონისძიებაზე მისულ ბავშვებს .)

1 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით მოსწავლეებისათვის მოეწყო გასვლითი გაკვეთილები ბუნებაში, მათ მიეცათ საშუალება შეესრულებინათ

გორისა და გორის რაიონის (კერძოდ ატენის ხეობის)

ტერიტორიაზე არსებული ღირშესანიშნავი ადგილების ჩანახატები,რაც მათ შემდგომში პრაქტიკული ზრდისთვისა და კომპოზიციების შესასრულებლად გამოადგებათ.

17 ივნისს, სამხატვრო სკოლის 26-მა მოსწავლემ წარმატებით დაიცვა სადიპლომო ნამუშევარი. მათ მიერ წარმოდგენილი იყო, როგორც თემატური

კომპოზიციები,ასევე პეიზაჟის ჟანრში შესრულებული ნახატები.

ნოემბრის თვეში გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით მოსწავლეებმა

შეასრულეს კომპოზიციები,რომლებიც ასევე გამოფენილი იქნა საკლასო ოთახებში.

ეწყობა შეხვედრები სკოლის კურსდამთავრებულებთან და მათი მხრიდან

ხდება ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეებში,თუ როგორ გააგრძელონ სწავლა სკო - ლის დამთავრების შემდეგ და რა სახის სწავლების სრულყოფა დასჭირდებათ უმაღ - ლეს სასწავლებელში მიზნის მისაღწევად.

სკოლის ბაზაზე მოეწყო 3 აქტივობა: 15 ნოემბერს და 18 ნოემბერს ,როდესაც სკო - ლამდელი ასაკის სააღმზრდელო დაწესებულების მოსწავლეებს სკოლის პედაგოგმა ქეთევან ქანაშვილმა.ჩაუტარა მასტერ-კლასი მათი ასაკის შესაბამისი ნიმუშების მიხედვით.

ანალოგიური აქტივობა განხორციელდა 24 დეკემბერს ძევერის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის ძერწვაში,რომელიც ჩაუტარა სკოლის პედაგოგმა თეიმურაზ მეფარიშვილმა.

განხორციელებული აქტივობები საკმაოდ ნაყოფიერი იყო,რის გამოც გამოითქვა სურვილი მსგავსი თანამშრომლობის გაგრძელებისა.

ფეხბურთში, ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით,ქალაქში მატჩის ტრანსლიაციის დროს,თეატრის სკვერში, სკოლის მოსწავლეებმა გულშემატკივრებს მოუხატეს სახეები (24 - 28 აგვისტო)

13 ოქტომბერს,გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზებით,გორის დღეებთან დაკავშირებით,ღონისძიე - ზე მისულ პატარებს სახეზე მოხატვას სთავაზობდნენ სამხატვრო სკოლის მოსწავლეები